ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 13 – 14 აგვისტო, 2016

№191 (7117)

ფასი: 50 თეთრი

გიგა ბუკია: „პრეზიდენტის ბევრი ქმედება ჩემთვის გაუგებარია“

გვ.3

„ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატებს, რომლებიც ადრე ნაცმოძრაობასთან იყვნენ, არაფერი დაუშავებიათ“

ირაკლი ოქრუაშვილი: „წინასწარ ვიზიარებ ირაკლი ალასანიას მწუხარებას“

გვ.2

„ეს ქალაქი ჩემთვის ახის ძალიან ახლობელი, მშობლიური და მეოხე ის, ჰომ ქართულმა პოლიტიკუმმა სპექტრმა მის მიეს წარდგენილი კანდიდატებით გამოხატა გარკვეული უდიერი დამოკიდებულება გოჩისადმი"

დავით უსუფაშვილი: „ქართული ოცნება“ აღარ არსებობს“

გვ.3

საქართველოში ტერაქტებს უნდა ველოდოთ?

გვ. 5

გვ.4

გედევან ფოფხაძე: „საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკური მიზნებისთვის ვერავინ გამოიყენებს“

მამუკა ტუსკაძე: „გალსა და ახალგორში რეფერენდუმის ჩატარება დღესაც შეიძლება“

გვ.6

ISSN 1987-9385

გვ.5

„ქორწინების „განსაზღვრის“ კამპანიას ლევან ვასაძე აფინანსებს“

გორში ნაციონალებს ძროხები მოსტაცეს

გვ.2

ირაკლი ოქრუაშვილი: „წინასწარ ვიზიარებ ირაკლი ალასანიას მწუხარებას“

შორენა მარსაგიშვილი

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა 12 აგვისტოს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. ტყვიავის სიამაყე კენჭს ქალაქ გორში იყრის.

ოქრუაშვილი პოლიტიკისკენ რომ გაიწევდა, ეს მას კარგა ხანია კოჭებზე ეტყობოდა. ამბიციების დაკმაყოფილებას ის 2014 წელსაც შეეცადა და გორის მერობისთვის მოინდომა ბრძოლა. იმ პერიოდში „ქართულმა ოცნებამ“ კანონში ცვლილება შეიტანა, რომლის მიხედვითაც თავდაცვის ყოფილ მინისტრი არჩევნებს მიღმა დარჩა. კი იძახდა ტყვიაველი, ეს ცენზი პირადად ჩემს ჩამოსაშორებლად დააწესესო, მაგრამ არავინ ისმინა მისი გოდება.

მართალია, გორის მერობისთვის ბრძოლა სანატრელი გაუხადეს მტარვალებმა, მაგრამ იმდენი მაინც მოახერხა, რომ გორის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გახდა. ესეც მას შემდეგ მოხდა, რაც „ოცნებას“ გორის საკრებულოში უმრავლესობა დაეშალა და თავმჯდომარედ ოქროს თანაპარტიელი აირჩიეს.

ოქრუაშვილი საპარლამენტო არჩევნებში მშობელ მხარეში რომ მოსინჯავდა ძალებს, ყველა შეგუებული იყო. აი, ამ ფრონტზე ირაკლი ალასანიას გამოჩენამ უზარმაზარი ინტრიგა გააჩინა. სხვა კანდიდატებზე აღარავინ ფიქრობს და ყველას იმის გარკვევა უნდა, ვის დარჩება სტალინის მშობლიური ქალაქი.

სტალინი ვახსენეთ და ოქრუაშვილი ცოტა ხნის წინ სტალინის ძეგლის დაბრუნებას აპირებდა ქალაქის ცენტრში. ალასანიას ბელადი დიდად არ ხიბლავს, მაგრამ გორელების ნაწილმა შესაძლოა მხედველობაში მიიღოს, რომ ალასანია და სტალინი ერთ დღეს არიან დაბადებულნი.

აი, მისი სეხნია ოქრუაშვილი კი ამბობს, რომ ალასანია მაჟორიტარი დეპუტატობისთვის ბრძოლაში დამარცხებისთვის არის განწირული.

– ირაკლი ალასანიას მე კონკურენტად ვერ აღვიქვამ, არა იმის გამო, რომ ის არ მიმაჩნია მძიმეწონიან ფიგურად, არამედ იმის გამო, რომ მე ზოგადად არ ვიცი, რა დგას მისი ამ გადაწყვეტილების უკან, რატომ გადაწყვიტა მან, რომ გორში იყაროს კენჭი. წარმატებები მინდა ვუსურვო, მაგრამ ყოველგვარი ირონიისა და სარკაზმის გარეშე ვამბობ – წინასწარ ვიზიარებ მის მწუხარებას ამ დამარცხებისთვის განწირულ ბრძოლაში, – განაცხადა ოქრუაშვილმა.

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა სხვა კანდიდატურებიც მოიხსენია. მისი თქმით, ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა უდიერი დამოკიდებულება გამოხატა გორისადმი, რადგან მათ მიერ წარდგენილ კანდიდატებს არც გამოცდილებით, არც ცოდნითა და არც პროფესიით არაფერი აქვთ საერთო პარლამენტის წევრის სტატუსთან.

– საინიციატივო ჯგუფმა წარმადგინა ქალაქ გორის მაჟორიტარობის კანდიდატად და მე ეს წინადადება მივიღე. ჩემს ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა რამდენიმე მიზეზი. პირველი ის, რომ ეს ქალაქი ჩემთვის არის ძალიან ახლობელი, მშობლიური და მეორე ის, რომ ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა მის მიერ წარდგენილი კანდიდატებით გამოხატა გარკვეული უდიერი დამოკიდებულება გორისადმი. თუ თვალს გადაავლებთ პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილ კანდიდატებს, დაინახავთ, რომ მათ არც გამოცდილებით, არც პროფესიითა და არც ცოდნით არაფერი საერთო არ აქვთ პარლამენტარიზმთან, პარლამენტის წევრის სტატუსთან და მათ არაფერი სასიკეთოს მოტანა გორისთვის არ შეუძლიათ, – აღნიშნა ნამინისტრალმა.

შსს-მ თბილისში დედის მკვლელობაში ბრალდებული დააკავა



შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოსა და ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1961 წელს დაბადებული ვ.მ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა გუშინ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დედას – 1933 წელს დაბადებულ ც.მ.-ს ცივი იარაღით ყელის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და მიიმალა. დაჭრილი ქალბატონი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე, მომხდარიდან რამდენიმე წუთში თბილისის მეტროპოლიტენის საბურთალოს ხაზის ერთ-ერთი სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა – ნივთმტკიცებად ამოიღო. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით).

ინტერპრესნიუსი

შსს-მ კახეთში 77 წლის ქალის მკვლელობის საქმე გახსნა

შსს-ს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ხ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 5 აგვისტოს, ღამით, ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანში, თანასოფლელის, 1939 წელს დაბადებული თ. ხ.-ს საცხოვრებელ სახლში ქურდობის მიზნით, ფარულად შეაღწია.

სახლის მეპატრონემ გ.ხ. შეამჩნია, რის შემდეგაც ბრალდებულმა ქალბატონს თავის არეში ბლაგვი საგნით დაზიანებები მიაყენა, მისი სხეული მარანში, ქვევრში, კვალის დაფარვის მიზნით გადამალა, ხოლო სახლში ხანძარი გააჩინა და მიიმალა. პოლიციამ გ.ხ. მომხდარიდან რამდენიმე დღეში თელავში დააკავა.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

ინტერპრესნიუსი

გორში ნაციონალებს ძროხები მოსტაცეს

შორენა მარსაგიშვილი

გოჩში ისეთი ამბები ხდება, შესაძლოა, ჩიოდან ყუჩადღება ქაჩთლის გულისკენ გადმოვიდეს. აღბათ, მხოლოდ გოჩში შეიძლება მოხდეს, ჩომ ხალხს საქონელი პოლიტიკური ნიშნით მოჰპაჩონ.

ნაციონალების გორის მაჟორიტარობის კანდიდატმა ბადრი ბასიშვილმა განაცხადა, რომ მის თანაპარტიელებს ძროხები მოჰპარეს.

საწყალ ნაციონალებს ესეც არ აკმარეს და გორის ოფისში შუშები ჩაუმტვრიეს. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ნაცმოძის ოფისის მინები შიგნიდან არის ჩამსხვრეული. გორში ამბობდნენ, ნაციონალებმა ერთმანეთი დაიწინდქვეშეს და ფანჯრებიც ამ დროს შემოელეწათო.

ბასიშვილის ინფორმაციით, გორის რაიონში უცნობი პირები ნაციონალების ძროხებს დაერივნენ.

– ბოლო პერიოდის განმავლობაში ჩვენს აქტიურ წევრებზე მიმდინარეობს ზეწოლა და შანტაჟი. მაგალითად, სოფელ მერეთში ჩვენს კოორდინატორს მსხვილფეხა საქონელი მოჰპარეს. ხუთი დღის წინ ასევე ჩვენი საკრებულოს წევრ ივანე ნუსხელიძეს გასტაცეს 10 სული ძროხა, – განაცხადა ბასიშვილმა.

ის დარწმუნებულია, რომ ამ ყველაფრის უკან ხელისუფლება დგას. ხელისუფლების ნაკვალევს ხედავს ის პარტიის ოფისში მომხდარ ჩხუბშიც.

როგორც მაჟორიტარობის კანდიდატი ამბობს, მათ ოფისში საწარმო „კულას“ დირექტორი ივანე გოგლიძე მიუვარდა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მეწარმის ძმა ნაციონალების მაჟორიტარობის კანდიდატია.

ჩხუბის მიზეზიც ეს ყოფილა. ივანე ალექსანდრეს კატეგორიულად სთხოვდა, შენი კანდიდატურა მოხსენიო.

– როგორც გოგლიძემ აღნიშნა, თავად შემოიჭრა ოფისში და ჩაამსხვრია მინები. თუმცა, მინდა მივმართო ივანე გოგლიძეს – თავზეც რომ გადაიმტვრიოს მინები, მისი ძმა ალექსანდრე გოგლიძე არ აპირებს კანდიდატურის მოხსნას ქალაქში. ივანე გოგლიძე 9 ოქტომბერს აუცილებლად წარდგება სასამართლოს წინაშე. ვნახოთ, ვინ ინატრებს 9 ოქტომბერს უფრო კარგ ჰაერს და ჟანგბადი ვის მოენატრება, – განაცხადა ბასიშვილმა.

ბასიშვილი ცოცხალი თავით არ ამხელს მიზეზს, თუ რატომ გადაემტერნენ ძმები ერთმანეთს.

მან მხოლოდ ის თქვა, რომ ივანე გოგლიძე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი და მისი პოლიტიკის გამტარებელია.

საინტერესოდ აღწერს ნაცმოძის ოფისის აოხრების ისტორიას ამაოხრებელი გოგლიძე. მისი მტკიცებით, ფანჯრები მხოლოდ სუფთა ჰაერის ჩაყლაპვის მიზნით ჩაამტვრია.

– ძალიან ბუნდოვანი და დახუთული სიტუაცია იყო ოფისში. ჰაერი არსაიდან არ შედიოდა და მინებიც დაზიანებული ჰქონდა. პრობლემა უმტკივნეულოდ და ეფექტურად გადავუწყვიტე. მათ მიიღეს სუფთა ჰაერი და ახალი აზრები. ეს ყველა პარტიას გამოადგება. კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ ეს მათი თხოვნით და მათი კეთილდღეობისთვის გაკეთდა, – განაცხადა გოგლიძემ.

ბადრი ბასიშვილი კი ამტკიცებს, რომ მათი კანდიდატის ძმას თავიდანვე ცუდი განზრახვა ჰქონდა გულში, რადგანაც ოფისში გოგლიძე ხელკეტით შეიჭრა.

ბადრი ბასიშვილი სხვა ამბების გამოც ჩივის. ის აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ამ დრომდე არ არის გამოძიებული 2 თვის წინ მომხდარი ფაქტი, როცა ნაციონალური მოძრაობის დეპუტატობის კანდიდატს მანქანა დაუწვეს.



– დაახლოებით, ორი თვის წინ ჩვენი პარტიის წევრ ალექსანდრე გოგლიძეს, რომელიც კენჭს იყრის ქალაქ გორში მაჟორიტარ დეპუტატად, მანქანა დაუწვეს. ორ თვეზე მეტია, ეს საქმე არ არის გამოძიებული. სათვალთვალო კამერებიცაა და აქამდე უნდა გაეხსნათ საქმე, – ამბობს ბასიშვილი.

მართალია, ბასიშვილმა გოგლიძის გაცხარების მიზეზი არ გაამხილა, მაგრამ ამბავმა მაინც გამოჟონა.

როგორც შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი იუწყება, „კულას“ მფლობელმა ნაციონალებს საარჩევნო კლიპში საწარმოს შესახებ ინფორმაციის გამოყენება აუკრძალა. არადა, წვენებისა და ბავშვთა კვების მწარმოებელი კომპანიის წარმატებას ნაციონალური მოძრაობა თავის დამსახურებად მიიჩნევს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიგა ბუკია: „პრეზიდენტის ბევრი ქმედება ჩემთვის გაუგებარია“

„ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატებს, რომლებიც ადრე ნაცმოძრაობასთან იყვნენ, არაფერი დაუშავებიათ“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს პრეზიდენტის გადანყვეტილება ჰეფეჰენდუმზე უარის თაობაზე ისევ განსჯის საგანია. ჰეფეჰენდუმის მომხრეებს სურდათ, რომ ამ გზით მიეღწიათ კონსტიტუციაში ქორწინების განმარტების ჩანერისთვის. პრეზიდენტის გადანყვეტილება გაუგებარია პარლამენტის უმრავლესობის წევრის, ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე გიგა ბუკიასათვისაც. ამასთან, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იგი ამაში ტრაგიკულს ვერაფერს ხედავს.

გიგა ბუკია:

– სანამ რეფერენდუმის საკითხი დადგებოდა, ჩვენ, საპარლამენტო უმრავლესობის დიდ ნაწილს, გვინდოდა ამ ჩანაწერის შეტანა კონსტიტუციაში. მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობასაც სურს, რომ ქორწინება ქალისა და მამაკაცის ერთობა იყოს და ეს აისახოს კონსტიტუციაში. მომხსენებელი ამ საკითხზე ზვიად ძიძიგური იყო. ეს ინიციატივა არ გაიზიარა რესპუბლიკურმა პარტიამ. სამაგიეროდ, მას ემხრობიან „თავისუფალი დემოკრატები“. ხელი შეგვიშალა იმან, რომ არ მოგროვდა 113 კაცი, რაც საჭირო იყო კენჭისყრის პროცედურისათვის. დარწმუნებული ვარ, ამას მომავალ პარლამენტში გავაკეთებთ. გარკვეულმა ჯგუფებმა დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება რეფერენდუმისათვის. რეფერენდუმის დანიშვნაზე უარი თქვა პრეზიდენტმა. მისი განცხადება იმის შესახებ, რომ რეფერენდუმი ტარდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და იგი ვალდებულია, დაიცვას ერთიანობა, არ არის სრულყოფილი. მოსახლეობას აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა რეფერენდუმებში და ეს კავშირში არაა ტერიტორიულ მთლიანობასთან. პრეზიდენტმა მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. ეს პოლიტიკისა და გემოვნების საკითხია. გიორგი მარგველაშვილის ბევრი ქმედება და განცხადება ჩემთვის გაუგებარია.

– განაცხადეთ, რომ კონსტიტუციაში ქორწინების განმარტებას უზრუნველყოფს მომავალი პარლამენტი. არაერთი ადამიანი გამოთქვამს შეშფოთებას იმაზე, რომ მომავალ პარლამენტში შეიქმნება ლიბერალური უმრავლესობა, რომელიც ამ ინიციატივის წინააღმდეგ წავა და დაიკანონებს ერთნაირსქესიანთა ქორწინებებს. ითვლება, რომ ამ უმრავლესობას შეუერთდებიან „ქართული ოცნების“ ახალი სახეები და მაჟორიტართა ნაწილი.

– ეს არ მოხდება. ჯერ ერთი, ყველა, ვისაც ლიბერალს უწოდებენ, ტრადიციული ოჯახის წინააღმდეგი არ არის. მაგალითად, იმავე რესპუბლიკელებში არის რამდენიმე დეპუტატი, რომელიც ჩვენს პოზიციას იზიარებს. „თავისუფალი დემოკრატებიც“ ჩვენსავით ფიქრობენ. იგივე ითქმის იმათზეც, ვინც „ქართულ ოცნებაში“ ახლა გაწევრიანდა. „ქართული ოცნების“ სიით ვმონაწილეობთ არჩევნებში კონსერვატორებიც. ჩვენს კონსერვატიულ და მემარჯვენე იდეოლოგიაში ეჭვი არავის ეპარება. ბევრი თანამოაზრე გვყავს „ქართული ოცნების“ სხვა ძველ სახეებშიც. ამ შემთხვევაში იდეოლოგიების ბრძოლა არ მიმდინარეობს. ვისაც მიაჩნია, რომ ქორწინება ქალისა და კაცის კავშირი არაა, ის ლიბერალი კი არა, რადიკალია და აბსურდამდე მიდის. მინდა გადაჭრით ვთქვა – ჩვენს ევროპელ პარტნიორებს არასდროს არ მოუთხოვიათ ჩვენგან ერთნაირსქესიანთა ქორწინებების შემოღება. ისინი ამ საკითხებში არ არევიან და საშუალებას გვაძლევენ, ისინი ჩვენ თვითონ გადავჭრათ, თუმცა, საქართველოშიც არიან ადამიანები, რომლებიც ერთნაირსქესიანთა ქორწინებებს ლობირებენ.

– პრეზიდენტის უარი რით შეიძლება აიხსნას?

– სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. პრეზიდენტს ხშირად არ ვეთანხმები და ეს უთანხმოება დღითიდღე მიძლიერდება. ფაქტია, რომ საქართველოს პრეზიდენტის მენტალიტეტი ქვეყნის მოსახლეობის მენტალიტეტისაგან მკვეთრად განსხვავებულია.

– შეიძლება თუ არა, რომ ამ თემის გამო საპროტესტო გამოსვლები დაიწყოს?

– პროტესტი ადამიანების უფლებაა, თუმცა, ამ შემთხვევაში ჯობია, ადამიანებმა პოზიცია გამოხატონ არჩევნების დროს და ხმა მისცენ იმ ძალას, რომელიც კონსტიტუციის დონეზე დააკანონებს ქორწინების ცნებას და ამისათვის რეფერენდუმიც არ გახდება საჭირო.

– წინასაარჩევნო პერიოდია და რამდენიმე შეხლა-შემოხლა მოხდა ამა თუ იმ პარტიას შორის.

– არჩევნების წინ ყველა ქვეყანაში იძაბება სიტუაცია. აშშ-შიც მოხდა ფიზიკური შეტაკებები კანდიდატების მომხრეებს შორის. ქართველები ემოციური ხალხი ვართ და ამისაგან დაზღვეული არ ვართ. მთავარია, არ იყოს დაუსჯელობა, ზეწოლა. ვინც სერიოზულ დანაშაულს ჩაიდენს, მან პასუხი უნდა აგოს. მოსახლეობას არ უნდა დაერღვეს სიმშვიდე. ხელისუფლება ამას ახერხებს.

– პოლიტიკური ძალების განლაგება იცვლება?

– „ქართული ოცნება“ უალტერნატივოა. სხვა მხრივ, ძალთა ბალანსი, ალბათ, იცვლება. ნაციონალურმა მოძრაობამ ბევრი მომხრე დაკარგა თავისი პოლიტიკის გამო. გარდა ამისა, მას გამოეყო ჯგუფები თავისი მხარდამჭერებინანად. ნაციონალური მოძრაობა ვეღარ აამუშავებს სიცრუის მანქანას, რომელსაც ადრე იყენებდა.

– მიხეილ მაჭავარიანის თქმით, „ქართულ ოცნებაში“ ახლა იმაზე მეტი ნაციონალია, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. ზოგიერთი ყოფილი ნაციონალი კანდიდატის დასახელება დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

– მაჟორიტარების კანდიდატებიდან ზოგიერთი იყო ადრე დაკავშირებული ნაციონალურ მოძრაობასთან. ამ ადამიანებს დანაშაული არ ჩაუდენიათ. ყველას თავდადებასა და გმირობას ვერ მოვთხოვთ. მათი უმრავლესობა იძულებული იყო, მოძალადე ნაციონალებისათვის ხარკი ეხადა. არ დაუჯერებდნენ და ცხრაპირ ტყავს გააძრობდნენ! მათ არ დავაკისრებდი პასუხისმგებლობას იმაზე, რასაც ნაცმოძრაობა აშავებდა. ამ ხალხმა ნაცმოძრაობა დატოვა. მიშა მაჭავარიანი ისევ ნაცმოძრაობაშია და აქამდე არ უღიარებია ამ პარტიის მიერ ჩადენილი დანაშაულები. მაშინ ხალხიც ისე ჰყავდათ დაშინებული ნაციონალებს, რომ ჩვენთან შეხვედრებზე ხანდახან 4 თუ 5 კაცი ძლივს ბედავდა მოსვლას.

დავით უსუფაშვილი: „ქართული ოცნება“ აღარ არსებობს“

შორენა მარსაგიშვილი

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა ბიუროს საგანგებო სხდომა დანიშნა. ბიუროს სხდომა ორშაბათს, 15 აგვისტოს გაიმართება. ბიუროს სხდომაზე სპიკერი ერს თავის ინიციატივას გააცნობს.

კერძოდ, უსუფაშვილი გამოდის ინიციატივით, კონსტიტუციის პრეამბულაში, იქ, სადაც საუბარია, რა სურს ქართველს ხალხს, დაემატოს ფრაზა – დავიმკვიდროთ სრულფასოვანი ადგილი დემოკრატიული სახელმწიფოების უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ევროატლანტიკურ სისტემაში.

ამ ინიციატივისკენ უსუფაშვილს ნინო ბურჯანაძემ უბიძგა. დემოკრატიულმა მოძრაობამ ცოტა ხნის წინ პარლამენტში შეიტანა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ისინი აპირებენ, შეაგროვონ ხელმოწერები და კონსტიტუციაში მოითხოვონ უბლოკო სტატუსის ჩაწერა.

ყველაფერი თუ ასე მოხდა, უსუფაშვილის თქმით, კონსტიტუციურად აუკრძალავენ საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.

– მინდა განვაცხადო, რომ ასეთი თემებით ასე სპეკულირება, მათ შორის საქართველოს ფუნდამენტური სახელმწიფოებრივი ინტერესების თემებით, არის დაუშვებელი და მიუღებელი. მე, როგორც პარლამენტის წევრი და თავმჯდომარე, ვერ ვიქნები პასიური მაყურებლის როლში. ამიტომ გადავწყვიტე, მივმართო ჩემს კოლეგებს და პარლამენტში შევიტანოთ ინიციატივა საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების ჩაწერის შესახებ – იმ ცვლილების, რომელიც სჭირდება საქართველოს უსაფრთხოებას, მომავალსა და მის კეთილდღეობას.

კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში, იქ, სადაც საუბარია, რა სურს ქართველს ხალხს, დაემატოს ფრაზა – დავიმკვიდროთ სრულფასოვანი ადგილი დემოკრატიული სახელმწიფოების უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ევროატლანტიკურ სისტემაში. ეს იქნება ადეკვატური პასუხი ყველა იმ პოლიტიკური ძალის მიმართ, რომელიც ამ საკითხს უყურებს ისე, როგორც ამ საინიციატივო ჯგუფის წევრები, – განაცხადა უსუფაშვილმა.

ბურჯანაძის ინიციატივით შეშფოთებული პარლამენტის თავმჯდომარე ყველა იმ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც ერთი თვის წინ ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ დეკლარაციას ხელი მოაწერა, მოუწოდებს, მის წინადადებას საკონსტიტუციო ცვლილებასთან დაკავშირებით ხელი მოაწეროს.

უსუფაშვილმა მის წარ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სერგი კაპანაძე: „იდეა ეკუთვნის ნაციონალურ მოძრაობას და აღნიშნულს მხარი არ დაუჭირა რესპუბლიკურმა პარტიამ“

– იდეა ეკუთვნის ნაციონალურ მოძრაობას და აღნიშნულს მხარი არ დაუჭირა რესპუბლიკურმა პარტიამ. ინიციატივაზე პასუხი გვექნება მას შემდეგ, რაც არჩევნებში გავიმარჯვებთ და ამ იდეას ავსახავთ კონსტიტუციაში.

ასე გამოეხმაურა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი სერგი კაპანაძე პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის ინიციატივას, რომ კონსტიტუციის პრეამბულაში, სადაც საუბარია, რა სურს ქართველს ხალხს, დაემატოს ფრაზა – დავიმკვიდროთ სრულფასოვანი ადგილი დემოკრატიული სახელმწიფოების უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ევროატლანტიკურ სისტემაში.

სერგი კაპანაძის თქმით, იდეა ეკუთვნის ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და აღნიშნულს მხარი არ დაუჭირა არც რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელიც მაშინ უმრავლესობის წევრი იყო.

სერგი კაპანაძე:

– მსგავსი ტიპის ინიციატივა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა ადრე, როდესაც წამოვაყენეთ იდეა, რომ კონსტიტუციაში ყოფილიყო დაფიქსირებული ჩვენი ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური კურსი. მაშინ „ქართულმა ოცნებამ“ – უმრავლესობამ და მისი ნაწილი იყო რესპუბლიკური პარტიაც, მხარი არ დაუჭირა ამ წინადადებას და ჩააგდო.

არჩევნების შემდეგ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ამ საკითხს დაუბრუნდება. ჩვენთვის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია არის უაღრესად მნიშვნელოვანი თემა. აქედან გამომდინარე, ჩვენს იდეას არჩევნების შემდეგ დავუბრუნდებით. ასეთ ინიციატივაზე პასუხი გვექნება მას შემდეგ, რაც არჩევნებში გავიმარჯვებთ და ამ იდეას ავსახავთ კონსტიტუციაში.

ინტერპრესნიუსი

დემურ სტურუას გარდაცვალებამდე დაწერილ წერილში მოხსენიებულმა პოლიციელმა პოსტი დატოვა

სამტრედიაში დემურ სტურუას გარდაცვალებამდე დაწერილ წერილში მოხსენიებულმა პოლიციელმა პირადი განცხადების საფუძველზე პოზიცია დატოვა.

შს სამინისტროს ინფორმაციით, მისი საკითხი გამოძიების დასრულებამდე კადრების განყოფილებაშია გადაცემული.

დემურ სტურუას თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმე გამოსაძიებლად დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს გადაეცა.

როგორც პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი, 8 აგვისტოს შსს სამტრედიის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, დემურ სტურუას თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით.

– გამოძიების ფარგლებში, ჩატარდა პირველადი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები, მოხდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ დემურ სტურუა თვითმკვლელობამდე დაწერილ წერილში თვითმკვლელობის მიზეზად უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის მხრიდან განხორციელებულ ზეწოლას ასახელებს, საქმე გამოსაძიებლად გადაეცა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს.

ინტერპრესნიუსი

გახლომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

გედევან ფოფხაძე: „საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკური მიზნებისთვის ვერავინ გამოიყენებს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო სასამართლოს 4 მოსამართლისა და ახალი თავმჯდომარის არჩევის წესსა და პროცედურებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, საკონსტიტუციო სასამართლოს 4 მოსამართლეს სექტემბერში უფლებამოსილების ვადა ეწურება. ერთ-ერთის დანიშვნის უფლებამოსილება პარლამენტს აქვს. დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ ის პარლამენტს საკუთარ კანდიდატურას შესთავაზებს. როგორია „ქართული ოცნების“ პოზიცია ამ საკითხზე?

– ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური გადაწყვეტილება ჯერ „ქართულ ოცნებას“ არ აქვს მიღებული. ჯერ კონსულტაციებიც არ დაწყებულა. როგორც ცნობილია, ბატონი დავით უსუფაშვილი აპირებს თავისი პოზიციის დაფიქსირებას ამ საკითხთან დაკავშირებით. მას, როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს, კანონმდებლობით ამის უფლება აქვს. ჩვენც გვაქვს უფლება და აუცილებლად გვექნება ჩვენი პოზიცია, ჩვენი ხედვა წარმოდგენილი. გაიმართება კონსულტაციები და შევარჩევთ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს.

– როგორ კანდიდატზე გაკეთდება აქცენტი?

– ღირსეულ კანდიდატზე. ყველა იმ სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს, რომლებიც ზოგადად უნდა ჰქონდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს. გარკვეული ვალდებულებებით არ უნდა იყვნენ დატვირთულნი. ერთადერთი სტანდარტი და სახელმძღვანელო უნდა იყოს, რომ ისინი არიან საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები. თუმცა, მე არ ვფიქრობ, რომ მაინცდამაინც მე-8 მოწვევის პარლამენტმა უნდა გამოიდოს თავი და ჩვენ მოვინდომოთ ამ საკითხის გადაწყვეტა. შეიძლება, ეს არც იყოს სწორი. დასრულდეს არჩევნები, რომელიც გველოდება და ახალმა პარლამენტმა მიიღოს გადაწყვეტილება.

– საკონსტიტუციო სასამართლო გარკვეულწილად კრიზისის წინაშე დგას. მოსამართლეთა კონტინგენტის შეცვლა განმუხტავს სიტუაციას? შეუძლიათ ახალ კადრებს, თავიანთ თავზე აიღონ ეს პასუხისმგებლობა?

– ამ თვალსაზრისით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პროცედურებს, თუ როგორ უნდა წარიმართოს ეს პროცესი. მნიშვნელობა აქვს კანდიდატურების შერჩევას. იმედი მაქვს, შეირჩევა მაქსიმალურად ისეთი კანდიდატები, რომელთაც ექნებათ პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხი, იმის განცდა, თუ რა უნდა აკეთოს რეალურად საკონსტიტუციო სასამართლომ და როგორი უნდა იყოს მოსამართლის როლი ამ სასამართლოში. თუ ასეთი პროფესიული განწყობა ჩაანაცვლებს პოლიტიკურად მოტივირებულ განწყობას, რა თქმა უნდა, ვითარება აბსოლუტურად შეიცვლება.

– საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილს უფლებამოსილების ვადა გასდის. ვინ იქნება ახალი თავმჯდომარე, როგორ უნდა წარიმართოს ეს პროცესი, თუ არის ამ საკითხზე დაწყებული კონსულტაციები?

– პროცედურულად ეს საკითხი გაწერილია. მოქმედ კანონმდებლობაში ეწერა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევაში მონაწილეობა უნდა მიეღო სამ ინსტიტუციას: პარლამენტს, უზენაეს სასამართლოსა და პრეზიდენტს, მაგრამ იმ ცვლილებების პაკეტში, რომელიც პარლამენტმა მიიღო ჩვენი კომიტეტის ინიციატივით, ეს პროცედურა გავაუქმეთ. შესაბამისად, ახლა თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები მიიღებენ გადაწყვეტილებას და თავად აირჩევენ, თუ ვინ უნდა იყოს თავმჯდომარე. ნამდვილად არ მგონია, სწორი იყოს სამი ინსტიტუციის მონაწილეობა და შეთანხმება, თუ ვინ უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. თვითონ მოსამართლეები მიიღებენ გადაწყვეტილებას.

– ეს უფრო დემოკრატიული და წინ გადადგმული ნაბიჯია? ამ შემთხვევაში დამოუკიდებლობის ხარისხი მეტი იქნება?

– დიახ, ეს ცვლილება ვენეციის კომისიამ მოგვიწონა. ვენეციის კომისიას მიაჩნია, რომ ეს არის დემოკრატიული და სწორი ინიციატივა. ჩვენც, ბუნებრივია, მიგვაჩნია, რომ ეს საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხს, ბუნებრივია, გაზრდის.

– გამოძიებას ჯერ არ დაუდია შედეგები, მაგრამ, თქვენი შეფასებით, საკონსტიტუციო სასამართლოში განვითარებული მოვლენები ერთგვარი პოლიტიკური იარაღი იყო ნაციონალური მოძრაობის ხელში. დღეს დამატებით რა შეგიძლიათ გვითხრათ, იმავეს ადასტურებთ?

– ახალს ვერაფერს ვიტყვი. ის პოზიცია, რომელიც მქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით, ცნობილია და მე კვლავ ვადასტურებ ჩემს პოზიციას ამ საკითხზე. რა პოზიციასაც ვაფიქსირებდით მთელი ამ ხნის განმავლობაში, იგივე პოზიციაზე ვარ. მიმაჩნია, რომ ჩვენი კომიტეტის, პირადად ეკა ბესელიას აქტიურობა ამ საკითხზე, ის პოლიტიკური განცხადებები, რომელიც ჩვენი მხრიდან გაკეთდა აუცილებელი იყო, რადგან ჩვენ ამით ხელი შევუწყვეთ იმ პროცესს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ვერავის გამოეყენებინა თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის. ამიტომ მგონია, რომ მთლიანობაში ჩვენი აქტიურობა პოზიტიური იყო, მიმართული საკონსტიტუციო სასამართლოს დაცვისკენ და თავისუფალი პოლიტიკური ზეგავლენებისგან.

– რუსთავი 2-ის საქმის ადვოკატები მოსამართლეებს მოუწოდებენ, რომ გადაწყვეტილება დროულად გამოიტანონ. ამაზე რას იტყვით?

– ადვოკატები მხარეს წარმოადგენენ. მათ აქვთ უფლება, რომ ეს მოითხოვონ. ჩემთვის მთავარია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მიუკერძოებელი გადაწყვეტილება მიიღოს. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები არ არიან ჩამოყალიბებულნი ამასთან დაკავშირებით, ეს გადაწყვეტილება არ ეხება მხოლოდ ერთ საქმეს, ერთ კონკრეტულ ქეისს. ეს გადაწყვეტილება მთლიანად კანონის ნორმას ეხება, არის თუ არა ნორმა კონსტიტუციური, რომელიც საჯარო ინტერესის სფეროა. აქ მთავარია, რომ სასამართლომ მიუკერძოებლობის პრინციპით იხელმძღვანელოს, იყოს ობიექტური და მიიღოს ის გადაწყვეტილება, რომელიც მათი შინაგანი რწმენიდან გამომდინარეობს.

– რამდენად იქნება მათი გადაწყვეტილება ობიექტური, მიუკერძოებელი იმ ფონზე, რომელსაც ჩვენ მთელი ამ ხნის განმავლობაში ვხედავთ?

– ერთი მხრივ, ის ფონი, რომელიც შეიქმნა საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ, ზოგადად ჯანსაღი და მისაღები არ არის. მეორე მხრივ, ჩვენ ვერ გავჩერდებოდით და მდუმარე პოზიციას ვერ დავიკავებდით. როდესაც ხედავ, საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება ხდება და პირადი მიზნების ასახვა გადაწყვეტილებებში, მაშინ პოლიტიკოსი ხარ თუ ჟურნალისტი, მოქალაქეობრივი პროტესტის გრძნობა გიჩნდება. მე მირჩევნია, დავტოვო ჩემი მანდატი და სიმართლე ვთქვა. ვთვლი, დუმილი ამ შემთხვევაში სწორი გადაწყვეტილება არ იქნებოდა. ჩემი პოზიცია საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს არანაირად არ ავალდებულებს. ეს ასე ნამდვილად არ არის. მე ვამბობ ამას არა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების გასაგონად, არამედ ვამბობ იმას, რისი მჯერა და რაც სწორი მგონია. ყველა მოსამართლე, ვინც საკონსტიტუციოშია, კარგი იურისტია, პროფესიონალები არიან და, შესაბამისად, მათ გადაწყვეტილება ნორმასთან მიმართებით უნდა მიიღონ, ამაში უნდა იყვნენ დამოუკიდებლები. პროფესიონალიზმიც შეიძლება იყოს მოძველებული და გადაწყვეტილებაში ეძებოს არა ჭეშმარიტება, არამედ ის, რაც მას აწყობს, მაგრამ ჭეშმარიტება და სიმართლე ერთია.

დავით უსუფაშვილი: „ქართული ოცნება“ აღარ არსებობს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მოდგენილ წინადადებას ხელი 12 აგვისტოს გამართული ბრიფინგის დროს მოაწერა და განაცხადა, რომ ამ წინადადების ინიციატივად ქცევას კიდევ 75 ხმა სჭირდება.

– ერთი თვის წინ ფრაქციებმა ხელი მოვაწერეთ საერთო დეკლარაციას ევროატლანტიკური მისწრაფების შესახებ, რომელიც საკუთარი ხელმოწერით დაადასტურეს საქართველოს პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა და მე. მე მივმართავ ყველა იმ პოლიტიკურ ძალას, ვინც ერთი თვის წინ დააფიქსირა ჩვენი ურყევი რწმენა ევროატლანტიკური ინტეგრაციის, შემოუერთდეს ამ საკანონმდებლო ინიციატივას, რომელსაც თქვენთან ერთად, თქვენი თანდასწრებით ვაწერ ხელს და იგი იქნება გახსნილი საქართველოს პარლამენტის ყველა წევრისთვის. მე დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე შევაგროვებთ მინიმუმ 76 ხმას, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

სპიკერს მალევე გამოეხმაურა მისი დამფეთებელი ბურჯანაძე. ნასპიკერალმა სპიკერს დაუბარა, რომ უბლოკო სტატუსზე ინიციატივის მოწინააღმდეგე ყველა პოლიტიკურ ლიდერთან დებატებისთვის მზადაა.

როგორც დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა აღნიშნა, უბლოკო სტატუსთან დაკავშირებული ინიციატივის მნიშვნელობაზე სწორედ პარლამენტის თავმჯდომარის რეაქცია მეტყველებს.

მისივე თქმით, რა ჩაიწერება კონსტიტუციაში, ეს არა რომელიმე პოლიტიკოსის, არამედ საქართველოს მოსახლეობის გადასაწყვეტია.

– მე დარწმუნებული ვარ, საქართველოს უბლოკო სტატუსის ინიციატივას მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი დაუჭერს მხარს და საქართველოს მოსახლეობის გადასაწყვეტია, რა ინიციატივას დაუჭიროს მხარი. უბლოკო სტატუსი ჩვენი ქვეყნის გამთლიანების, ეკონომიკური წარმატებისა და წინსვლის ერთადერთი რეალური შესაძლებლობაა.

რაც შეეხება სპეკულაციებს, სპეკულაცია არის ის, რასაც ამდენი ხანი ქართული პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები აკეთებდნენ, მათ შორის რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებიც. სპეკულაციაა ნატოში გაწევრიანების შესახებ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა, ის, რომ დღეს საქართველოს პოლიტიკური სპექტრის დიდ ნაწილს უფრო მნიშვნელოვან პრიორიტეტად მიაჩნია საქართველოს ნატოში გაწევრიანება, ვიდრე ქვეყნის გამთლიანება. ჩემთვის და ჩემი თანაგუნდელებისთვის პრიორიტეტი არის ქვეყნის გამთლიანება და არა ნატოში გაწევრიანება და ამის მთავარი გარანტი არის უბლოკო სტატუსი. ასე რომ, რაც არ უნდა ჩაწეროს საქართველოს კონსტიტუციაში დღევანდელმა პარლამენტმა, ეს არ არის მხოლოდ ჩემი და არც რომელიმე სხვა პოლიტიკოსის გადასაწყვეტი. გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს მოსახლეობა, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

უსუფაშვილი ამით არ შემოფარგლულა და ერი ფეისბუქზე გამოქვეყნებული განცხადებით მიიქცია. მისმა ნააზრევმა განსაკუთრებით მეოცნებეები გააღიზიანა. მან მმართველ გუნდს სასტიკი დიაგნოზი დაუსვა.

– დღეს ბიძინა ივანიშვილი არ არის აქტიურ პოლიტიკაში, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი არის რესპუბლიკური პარტიის კონკურენტი „ქართული ოცნების“ არა მარტო დამფუძნებელი და სულისჩამდგმელი, არამედ ლოგოც, სიმბოლოც, ლიდერიც, არჩევნების იმედიც, პროგრამაც და საერთოდ ყველაფერი. ყველამ ვიცით, რომ, სამწუხაროდ, მას უნდოდა წასვლა პოლიტიკიდან, მაგრამ ვერ მოახერხა და ამიტომ არის იმ ვითარებაში, სადაც არის...

თუმცა, მე ვიცი და მჯერა, რომ მას უკვე ნამდვილად უნდა წასვლა ამ არჩევნების შემდეგ, იმ როლიდანაც კი, სადაც ამ ეტაპისთვის არის და მე ეს მაწუხებს. მაწუხებს იმიტომაც, რომ ამომრჩეველმა, რომელიც 8 ოქტომბერს მივა ხმის მისაცემად, ეს კარგად უნდა გაიაზროს! ხმას აძლევს, მაგალითად, რესპუბლიკურ პარტიას უსუფაშვილიანხიდაშელიანად და ა.შ. თუ „ქართულ ოცნებას“, რომელსაც ნოემბრიდან ბიძინა ივანიშვილი აღარ ეყოლება?!

არ მინდა, ვინმემ სხვანაირად გამიგოს ან შეურაცხყოფად მიიღოს, მაგრამ პოლიტიკურად „ქართული ოცნება“ არ არსებობს, რადგან პოლიტიკურად თუ „ქართულ ოცნებას“ გამოვაკლებთ ივანიშვილსა და საძალაუფლებო ბერკეტებს, იქ, უბრალოდ, აღარაფერი დარჩება, არც პოლიტიკურად, არც ორგანიზაციულად, დარჩება რამდენიმე საუკეთესო სახელმწიფო მოღვაწე, მაგრამ „ქართული ოცნება“ მმართველი პარტია ვეღარ იქნება, – აღნიშნავს უსუფაშვილი.

იქვე განმარტავს, რომ მისი ნათქვამი იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ის აკნინებს იქ მყოფი ადამიანების მნიშვნელობას.

მისივე თქმით, 2012 წლის გამარჯვების შემდეგ სახელისუფლებო ტვირთმა „ოცნების“ დამფუძნებელს შესაძლოა პრიორიტეტები შეუცვალა.

– რასაც დაპირებების გარკვეულწილად შეკვეცა მოჰყვა კიდეც... მართალია, ამის უამრავი მიზეზი იყო, როგორც საგარეო, ისე საშინაო ფაქტორები.. მაგრამ ეს მაინც მისი არჩევანი იყო. ამიტომ ახლა, 8 ოქტომბერს, უკვე ხალხმა უნდა გააკეთოს თავისი არჩევანი და ყველას თავისი უნდა მიაგოს. უმადურობას უნდა შევეშვათ ჩვენ მოქალაქეები და ყველას თავისი დავუფასოთ. მაგრამ ამასობაში არჩევანი მომავალზე უნდა გავაკეთოთ, იმაზე, თუ ხვალისთვის ვინ გამოგვადგება, გუშინ ვინ გაგვახარა გინდ ჩემპიონობით, გინდ ქველმოქმედებით, გინდ პოლიტიკური წარმატებებით, ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი თემაა, მაგრამ ხვალ ვინ გაიყვანს ქვეყანას ფონს ამ ძალიან მძიმე ვითარებაში, აი ეს არის უმთავრესი, – ამბობს სპიკერი.

გოგი თოფაძე: „ნინო ბურჯანაძის პოზიციას ორი ხელით მივესალმები“

– ორი ხელით მივესალმები ნინო ბურჯანაძის პოზიციას, რომ საქართველოში არცერთი სამხედრო ძალა არ იყოს, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ უმრავლესობაში შემავალი ფრაქციის „ქართული ოცნება – მრეწველების“ თავმჯდომარე გოგი თოფაძემ.

გოგი თოფაძე:

– ამ საკითხზე ჩემი პოზიცია თქვენ კარგად იცით. მე და ჩემს თანაგუნდელებს მიგვაჩნია, რომ საქართველო – ჩემი სამშობლო, არცერთ აგრესიულ სამხედრო ბლოკში არ უნდა იყოს.

ჩვენი იდეალია საქართველო, გაძლიერებული ეკონო-

მიკურად, თავისი ისტორიითა და კულტურით, იყოს დამოუკიდებელი ქვეყანა, როგორც ნეიტრალური ქვეყანა. ჩემი ქვეყნის არცერთ სამხედრო ბლოკში მონაწილეობა მე სწორად არ მიმაჩნია.

დავით უსუფაშვილი საქართველოსთვის უბლოკო სტატუსის მინიჭების მომხრეთა საწინააღმდეგოდ საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივით გამოდის. კერძოდ, უსუფაშვილი პარლამენტს სთავაზობს ინიციატივას, რომ საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულას, იქ სადაც საუბარია, რა სურს ქართველს ხალხს, დაემატოს ფრაზა – „დავიმკვიდროთ სრულფასოვანი ადგილი დემოკრატიული სახელმწიფოების უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ევროატლანტიკურ სისტემაში“.

ინტერპრესნიუსი

საქართველოში ტერაქტებს უნდა ველოდოთ?

სოსო ზაალიშვილი

ისლამური ტერორიზმის გაზრდილმა საფრთხეებმა საფრანგეთის შემდეგ მეორე ქვეყანა, გერმანია, იძულებული გახადა, საკუთარი უსაფრთხოების სისტემის რეფორმირებაზე დაეწყო ფიქრი.

ამის მიზეზი გერმანიაში ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერის დაკავება გახდა. გერმანიის ფედერალური მინის რეინალდ-პფალცის სამართალდამცავებმა ოფიციალურად დაადასტურეს დაკავება.

დაკავებული სულიერი მოძღვარი ახალგაზრდებს სირიასა და ერაყში ჯიჰადის აღსასრულებლად აგზავნიდა. მასთან ერთად გამოძიების ყურადღების ცენტრში ქალაქ დუისბურგში დაფუძნებული ერთ-ერთი ტურისტული სააგენტოს მფლობელიც მოხვდა. ამ სააგენტოს საშუალებით ხდებოდა მომავალი მებრძოლებისა და ტერორისტების გადაყვანა დანიშნულების ადგილამდე და უკან დაბრუნება, გამოძიების აზრით, ტერორისტულ ჯგუფს გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების დროს უნდა განეხორციელებინა შეტევები.

შინაგან საქმეთა მინისტრი ტომას დე მეზერი ამზადებს ცვლილებების პროგრამას, რომელთა თანახმადაც, გერმანიაში, ისევე, როგორც საფრანგეთში, აიკრძალება ისლამური თავსაბურავის ტარება, აგრეთვე გაიზრდება კონტროლი ექსტრემიზმში შემჩნეული მოქალაქეებისა და ქვეყანაში ჩასული სხვა პირების მიმართ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ 11 აგვისტოს წარდგენილი პროგრამა არ საჭიროებს პარლამენტის დამტკიცებას და აშკარად ზღუდავს თავისუფლებებისა და უფლებების ევროპულ ქარტიას. ცვლილებების თანახმად, ექიმებს, ხოლო პარლამენტის მხარდაჭერის შემთხვევაში ადვოკატებს ეძლევათ უფლება, განაცხადონ პაციენტისა და კლიენტის ტერორისტულ ორგანიზაციასთან რაიმე შესაძლო კავშირის შესახებ ეჭვის აღძვრის შემთხვევაში.

რეფორმა შეეხება თავად სამართალდამცავ ორგანოებსაც. შინაგან საქმეთა სამინისტრო ითხოვს ბიუჯეტის გაზრდას, რათა ახალი სტრუქტურები ჩამოაყალიბოს და თანამშრომლების რეკრუტირება მოახდინოს, გაზრდილი ბიუჯეტით ინფორმატორთა ქსელის შექმნას, რათა თავიდან აირიდონ ისლამური ტერორიზმის ახალი საფრთხეები. საუბარია აგრეთვე ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირებისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევის პრაქტიკის შემოღებაზეც.

გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ფედერალური და ადგილობრივი შინაგან საქმეთა მინისტრები ბერლინში 18 აგვისტოს შეხვდებიან. შეხვედრაზე, სავარაუდოდ, ხელი მოეწერება „ბერლინის დეკლარაციას“, რომელიც გერმანიის სამართალწარმოების სრული რეფორმირების პაკეტს წარმოადგენს. ამ პაკეტს კი უკვე ბუნდესტაგის მხარდაჭერა დასჭირდება.

მნიშვნელოვანია, რომ გერმანიაში ანტიტერორისტული რეფორმა დროში თურქეთისა და ევროკავშირის ურთიერთობის გაუარესებას ემთხვევა.

თურქული დიასპორა გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მძლავრია. ერდოღანის მხარდამჭერი მიტინგები გერმანიის თითქმის ყველა დიდ ქალაქში იმართება. იქ, სადაც მრავალი აგრესიულად განწყობილი მუსლიმი იკრიბება, აუცილებლად ჩნდებიან საყოველთაო ჯიჰადის მხარდამჭერი ელემენტებიც. გერმანიის ხელისუფლება, მიუხედავად ღია მულტიკულტურალიზმის მხარდაჭერისა, იძულებულია, საკუთარი მოსახლეობა მომატებული საფრთხეებისაგან დაიცვას.

ამას თურქეთისა და გერმანიის სერიოზული კონკურენციაც ემატება ევროპაში რუსული გაზის გამანაწილებელი ქვეყნის სტატუსის მოპოვებისათვის ბრძოლაში.

მეორე მხრივ, ცვლილებებით გერმანიის მთავრობამ ერდოღანის დაშანტაჟების მეთოდი არჩია. იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი რუსული გაზის მთავარი იმპორტიორი გახდება ევროპაში, გერმანია ახალი კანონის გამოყენებით გერმანიაში მყოფ თურქულ დიასპორას შეზღუდავს, რამაც გარკვეული ზეგავლენა უნდა მოახდინოს თავად თურქეთის ხელისუფლებაზე. რამდენად მოახერხებს ამას ანგელა მერკელის მთავრობა, მომავალი გვაჩვენებს, თუმცა ფაქტია, რომ ჯერჯერობით ერდოღანი არანაირ დათმობაზე წასვლას არ აპირებს. საგარეო მინისტრმა ჩავუშოღლუმ აკი თქვა, რომ თურქეთი ნატოდან გამოსვლას განიხილავს, თუ დასავლეთი მის მოთხოვნებს არ დაჰყაბულდება.

ერდოღანის აგრესიულ პოზიციას გარკვეული დათმობები უკვე მოჰყვა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან. თუ რამდენიმე ხნის წინ სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი და ობამას ადმინისტრაციის სხვა მაღალჩინოსნები კატეგორიულად გამორიცხავდნენ ამერიკაში მოღვაწე ფეთხჰულა გიულენის თურქეთისათვის გადაცემას, დღეს სახელმწიფო დეპარტამენტში არსებულ წყაროზე დაყრდნობით თურქული მედია ირწმუნება, რომ აშშ გიულენის თურქეთისათვის გადაცემის შესაძლებლობას განიხილავს.

ობამას ადმინისტრაცია, რომელიც არ გამორჩევა ძლიერი საგარეო ხაზის არსებობით, შესაძლოა, მართლაც დათანხმდეს ერდოღანის მოთხოვნას, რათა ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში თურქეთმა, აშშ-ის სტრატეგიულმა მოკავშირემ, არ დატოვოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს შორის არსებულ მრავალი უთანხმოების შესახებ საქვეყნოდაა ცნობილი. რამდენიმე ხნის წინ კი ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ავიგდორ ლიბერმანმა ირანთან დადებული ხელშეკრულება რიბენტროპ-მოლოტოვის აქტს შეადარა. ასეთმა შედარებამ აშშ-ში არჩევნების წინ დემოკრატებს შესაძლოა ბევრი მდიდარი სპონსორი და მოკავშირე დააკარგვინოს.

რეგიონში ორი ფორპოსტის დაკარგვა დემოკრატი პრეზიდენტობის კანდიდატისათვის ნამდვილად არ იქნება სასარგებლო. ამას ისიც ემატება, რომ რესპუბლიკელმა ტრამპმა ახლა უკვე პირდაპირ ეთერში დასდო ბრალად პრეზიდენტ ობამასა და ჰილარი კლინტონს ისლამური სახელმწიფოს შექმნა. დამეთანხმებით, თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი მეტად მნიშვნელოვან მოწმედ შეიძლება განვიხილოთ ობამას ადმინისტრაციისა და ისლამური სახელმწიფოს ურთიერთობებში. იმაზე, რომ თურქეთი რამდენიმე წლის განმავლობაში ისლამური სახელმწიფოს მთავარი დასაყრდენი ბაზა იყო, მრავალი ექსპერტი თუ პოლიტიკოსი საუბრობდა. ერდოღანი ნამდვილად ფლობს მნიშვნელოვან ინფორმაციას.

აუცილებლადაა აღსანიშნავი ისიც, რომ რუსული სუ-24-ის ჩამოგდების ოპერაციაში თურქული ავიაცია მონაწილეობდა, რომლის ხელმძღვანელიც პუტჩის ორგანიზების ბრალდებითაა დაკავებული.

ერდოღანსა და პუტინს შორის ევროპაში რუსული გაზის ტრანსპორტირების შესახებ შეთანხმება დაახლოებით 2 წლის წინ მოხდა. ამის შემდეგ თურქეთის საჰაერო ძალების დახმარებით ჩამოგდებულ იქნა თვითმფრინავი, რომელმაც ეს შეთანხმება დაარღვია.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აშშ ევროპას ჰპირდება, რომ უფასოდ აუშენებს შეკუმშული გაზის რეზერვუარებს, რათა ევროპამ რუსული გაზი აღარ შეიძინოს ანუ ამერიკა დაინტერესებულია რუსული გაზის ევროპიდან განდევნაში. ასეთ ვითარებაში ნამდვილადაა შესაძლებელი, სიტუაცია არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, თურქეთში, არამედ შავი ზღვის აუზის ქვეყნებშიც დაიძაბოს.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

„ქორწინების „განსაზღვრის“ კამპანიას ლევან ვასაძე აფინანსებს“

ამერიკული რადიოსადგური ამერიკის ხმა ეხმაურება საქართველოში ქორწინების განმსაზღვრელი სტატუსის რეფერენდუმზე გატანის შესახებ განვითარებულ მოვლენებს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სიუჟეტის რეზიუმეს:

საქართველოს პრეზიდენტმა უარი განაცხადა, ქორწინების განსაზღვრის თემაზე რეფერენდუმი დაენიშნა. ამას საინიციატივო ჯგუფი ითხოვდა, რომელმაც ორ თვეში მოახერხა 200.348 ხელმოწერის შეგროვება და დათქმულ ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის წარდგენა. ცსკომ კი, თავის მხრივ, გადაწყვეტილების მისაღებად პრეზიდენტ მარგველაშვილს მიმართა.

„თანახმა ხართ თუ არა, რომ სამოქალაქო ქორწინება განისაზღვროს, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის?“ – სწორედ ასეთი ფორმულირებით უნდა დანიშნულიყო 8 ოქტომბერს რეფერენდუმი.

ეს კამპანია, რომელსაც ბიზნესმენი ლევან ვასაძე აფინანსებს და მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ და მართლმადიდებელი ეკლესია თანაუგრძნობს, ქვეყანაში „ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების წინააღმდეგ“ უნდა ყოფილიყო მიმართული.

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა თავისი მოტივირებული უარი რეფერენდუმის არდანიშვნის თაობაზე იმით ახსნა, რომ ეს საკითხი დიდი ხანია სამოქალაქო კოდექსითაა დარეგულირებული: „ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია ქართულ კანონმდებლობაში და დადგენილია, რომ ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია. ამავე დროს, კანონმდებლობა კრძალავს კანონის ან კონსტიტუციური ცვლილების რეფერენდუმით მიღებას“.

საარჩევნო ტექნოლოგიების სპეციალისტების აზრით, „ქორწინების ცნების განსაზღვრა“ წინასაარჩევნოდ იდეალური თემაა, რომ ამომრჩეველს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებიდან, როგორებიცაა რუსული ოკუპაცია, სიღარიბე, ეკონომიკური და სოციალური კრიზისი, კორუფცია, კოლაბორაციონიზმი ეკლესიაში, ყურადღება ხელოვნურად გადაატანინო.

ექსპერტები განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ „დასავლეთიდან მომდინარე“ ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების მითიური „საფრთხე“ კრემლის დახვეწილი ანტიდასავლური პროპაგანდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნარატივია, რომელიც მიზნად დასავლეთის დემონიზებასა და ლიბერალური ღირებულებების მიმართ შიშის დამკვიდრებას ისახავს.

პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინისა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პროპაგანდის მიხედვით, მხოლოდ მოსკოვი დგას „ქრისტიანული ღირებულებების“, „მართლმადიდებლობის“, „ოჯახის სიწმინდის“, „ტრადიციული ზნეობისა და მორალის“ დაცვის სადარაჯოზე. ამ პროპაგანდისტულ ომში კრემლის „მეხუთე კოლონა“ ერთმორწმუნე საქართველოში თავს ან მართლმადიდებელი ეკლესიის ანაფორას აფარებს, ან მათ სიახლოვეს ტრიალებს.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელ გიორგი ვოლსკის არ დაუმალავს, რომ 200.000 ხმა საინიციატივო ჯგუფმა მათი ღია მხარდაჭერის ხარჯზეც შეკრიბა: „ხელისუფლების, პირადად გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივის, ძალიან დიდი მხარდაჭერაა ის, რომ 200 ათასზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი იმ პოზიციას, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია“.

რეფერენდუმის მოწინააღმდეგე, ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტი, ისტორიკოსი გრიგოლ გეგელია კი მიიჩნევს, რომ ქორწინების შესახებ რეფერენდუმი „გაბანკროტებული ელიტების“ მიერ ხალხის დაშინების გზით წინასაარჩევნოდ ქულების დაწერის მცდელობა იყო: „ქვეყანაში, სადაც არის ამხელა სოციალური პრობლემები, სადაც 273.800 ადამიანი შიმშილობს, სადაც 77 ათასი ბავშვი შიმშილობს, 300 ბავშვი კი ყოველწლიურად შიმშილისგან იღუპება, მინდა, ყველას ვკითხო – ასეთ ქვეყანაში, საერთოდ შეიძლება თუ არა მორალზე საუბარი, როცა ამ თემებს არავინ ახსენებს და არაფრისგან წარმოშობილ თემას საათებს ვუთმობთ?“ – ამბობს გრიგოლ გეგელია.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სარეფერენდუმოდ წარმოდგენილი საკითხი – „გინდათ თუ არა, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინება დაშვებულ იქნეს საქართველოში?“ რეგისტრაციაში 2016 წლის მარტის ბოლოს გაატარა, თუმცა პირველმა საინიციატივო ჯგუფმა ზურაბ თოლორაიას ხელმძღვანელობით 200 ათასი ხმის შეგროვება ვერ შეძლო.

ივნისში კი „ოჯახის სიწმინდის დამცველებმა“ საქმეში უკვე „მძიმე არტილერია“ ჩართეს: ბიზნესმენ ლევან ვასაძის მიერ დაარსებული „დემოგრაფიული განვითარების ფონდის“ დირექტორ ზვიად ტომარაძის, თბილისის საკრებულოს დეპუტატის, „პატრიოტთა ალიანსის“ ყოფილ წევრ სოსო მანჯავიძისა და პარლამენტარ თამაზ მეჭიაურის ახალი პარტიის – „ახალი საქართველოსათვის“ ერთ-ერთი ლიდერის სანდრო ბრეგაძის შემადგენლობით.

ამ ჯგუფმა 200.000 ხმა მალევე შეაგროვა, თუმცა უარი რეფერენდუმის დანიშვნის თაობაზე უკვე პრეზიდენტისგან მიიღო. საინიციატივო ჯგუფმა პრეზიდენტ მარგველაშვილის გადადგომა მოითხოვა.

ნიუსპრესი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ჟალბატონი ფიქრია

მამუკა ტუსკაძე: „გალსა და ახალგორში რეფერენდუმის ჩატარება დღესაც შეიძლება“

გულიკო ბალაძე

პრეზიდენტ მარგველაშვილის გადაწყვეტილებამ ეჭვქვეშ დააყენა ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერისა და პარლამენტის დეპუტატთა რიცხოვნობის შემცირების შესახებ ჩატარებული რეფერენდუმების, ასევე 1996 წელს ჩატარებული პლებისციტის ლეგიტიმურობაც. ამის შესახებ უფლებადამცველი და ადვოკატი მამუკა ტუსკაძე საუბრობს.

– დანაშაული იყო ოჯახის შესახებ კონსტიტუციაში ჩანაწერის გასაკეთებლად რეფერენდუმისთვის ხელმოწერების შეგროვებაც და რეფერენდუმზე უარის თქმაც. პრეზიდენტის გადაწყვეტილებას უარყოფითად ვაფასებ. ამის მრავალი მიზეზია. პრეზიდენტი აცხადებს, რომ რეფერენდუმზე უარს ამბობს, რადგან დარღვეულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და ეჭვქვეშ დადგებოდა რეფერენდუმის ლეგიტიმურობა.

ამ განცხადებით გიორგი მარგველაშვილი ეჭვქვეშ აყენებს 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებთან ერთად ჩატარებული ნატოს შესახებ რეფერენდუმის, პარლამენტის რიცხოვნობის შემცირების თაობაზე ჩატარებული რეფერენდუმისა და 1995 წელს ჩატარებული პლებისციტის ლეგიტიმურობას, – აცხადებს მამუკა ტუსკაძე.

– 1996 წელს ჩატარებული პლებისციტის ლეგიტიმურობაც ეჭვქვეშ დგება?

– რა თქმა უნდა, პლებისციტიც და რეფერენდუმიც მთელი საქართველოს ტერიტორიაზე უნდა ჩატარდეს, მაგრამ შეიძლება რეფერენდუმის ჩატარება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე კონკრეტულად, რაღაც ერთ საკითხთან დაკავშირებით ერთ რომელიმე რეგიონშიც კი.

– რეფერენდუმის შესახებ ჩანაწერით, მგონი, არ შეიძლება მხოლოდ ერთ რომელიმე რეგიონში რეფერენდუმის ჩატარება.

– გააჩნია, რა საკითხი დგას დღის წესრიგში.

– პრეზიდენტი თავის გადაწყვეტილებას სწორედ იმით ამართლებს, რომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნდა ჩატარდეს.

– მე მოგიყვანეთ მაგალითი ორი რეფერენდუმისა და ერთი პლებისციტის გამართვის შესახებ.

– ამას წინა ხელისუფლების შეცდომად მიიჩნევენ.

– როცა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხზე მიდგება საქმე, რეფერენდუმის ჩატარება დასაშვებია, თუმცა, საერთოდ, დღის წესრიგშიც არ უნდა დამდგარიყო ეს საკითხი. ცხადია, ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ამის შესახებ კონსტიტუციაში ჩანაწერის გაკეთება საჭირო არ არის.

მეორე მხრივ, რადგან ეს საკითხი დღის წესრიგში დადგა, პრეზიდენტს რეფერენდუმი უნდა დაენიშნა.

– რატომ არ არის საჭირო კონსტიტუციაში ჩანაწერი ოჯახის შესახებ?

– სამოქალაქო კოდექსში ამის თაობაზე ჩანაწერი არის, თუმცა, რადგან ხელმოწერები შეგროვდა, კონსტიტუციაში ჩასაწერად პრეზიდენტს ქართველი ხალხისთვის უფლება უნდა მიეცა, მონაწილეობა მიეღო ამ საკითხის გადაწყვეტაში.

უარის თქმა იმის გამო, რომ რეფერენდუმი ვერ ტარდება მთელ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ეს არ არის არგუმენტი.

მამუკა ტუსკაძის განცხადებით, პრეზიდენტმა თავისი გადაწყვეტილებით ბოლო წლების პარლამენტების ლეგიტიმურობაც ეჭვქვეშ დააყენა.

– მეორე რეფერენდუმი ჩატარდა პარლამენტის წევრების რაოდენობის შემცირებაზე. თუ რეფერენდუმი არალეგიტიმური იყო, მაშინ გამოდის, რომ ბოლო პერიოდის პარლამენტებიც არალეგიტიმური გახლავთ, რადგან არალეგიტიმურმა რეფერენდუმმა მიიღო გადაწყვეტილება. ორივე რეფერენდუმი ოკუპირებული ტერიტორიის ნაწილშიც ჩატარდა.

გალისა და ახალგორის მოსახლეობამ მიიღო მონაწილეობა რეფერენდუმში. თუ პრეზიდენტს უნდა, დღესაც შეიძლება გალში გაიხსნას საარჩევნო უბანი. ასევე შეიძლება ახალგორში შეიქმნას უბანი. ეს იმას ნიშნავს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე რეფერენდუმი ჩატარდა და ლეგიტიმაცია მიეცა. ახლაც შეძლებოდა გალსა და ახალგორში უბნების შექმნა, რაც არ გააკეთა პრეზიდენტმა. მას სხვა მიზნები ამოძრავებს, – მიაჩნია მამუკა ტუსკაძეს.

– სეპარატისტები და ოკუპანტები დაუშვებენ გალსა და ახალგორში უბნების გახსნას?

– მათ ეს დაუშვეს 1999 წელს, მათ ეს დაუშვეს 2004 წელს. თუნდაც სეპარატისტული ხელისუფლება ცდილობს, დემოკრატია ითამაშოს დემოკრატიის თამაშიდან გამომდინარე, გვქონდა შესაძლებლობა, 52 უბანზე ჩაგვეტარებინა რეფერენდუმი.

– 2008 წლის შემდეგ სხვა ვითარებაა.

– 2008 წლის შემდეგ ვითარება შეცვლილია, მაგრამ გალსა და ახალგორში დღესაც შეიძლება რეფერენდუმის ჩატარება. სახელმწიფოს შეეძლო, ეს გაეკეთებინა, მაგრამ სახელმწიფო ცალკეა, ხალხი – ცალკე. პრეზიდენტისა და ქვეყნის მთავარსარდლის არგუმენტი, რომ რეფერენდუმი არ იქნებოდა ლეგიტიმური, რადგან მთელ საქართველოში ვერ ჩატარდებოდა, თითიდან არის გამოწოვილი.

– თქვენ ბრძანეთ, ეს საკითხი არ უნდა დამდგარიყო. საშინაოროება არ არსებობდა, ლგბტ თემის წარმომადგენლებს ერთნაირსქესიანთა ქორწინება მოეთხოვათ?

– ამის საშინაოროებას ნამდვილად ვერ ვხედავ. 17 მაისს ისეთი რამ მოხდა, 100 წელიც რომ გავიდეს, არა მგონია, ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე საუბარიც კი დაიწყოს. ქვეყნის მტრები ავრცელებენ ინფორმაციას, თითქოს ვიღაცამ მოითხოვა ერთნაირსქესიანთა ქორწინების შემოღება.

– მცდელობა იყო, მგონი, ერთ პირს უნდოდა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანა, მაგრამ სასამართლომ სარჩელი არ მიიღო.

– ასეთი მცდელობები ბევრ საკითხში იქნება. შეიძლება, ვთქვათ, ვიღაცას პანკისში ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა უნდა. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ საქართველოში ტერორისტული ორგანიზაციაა.

ერთი მხრივ, დანაშაული იყო ხელმოწერების შეგროვება, მაგრამ, მეორე მხრივ, რადგან შეგროვდა, დანაშაული იყო რეფერენდუმის დანიშვნაზე უარის თქმაც. დანაშაულია ისიც, რომ პრობლემებს ხელოვნურად ქმნიან.

– ამ უმცირესობის უფლებები თუ არის დაცული?

– რა თქმა უნდა, დაცულია. რომელიმე უმცირესობის წარმომადგენელს, თუ ის რაიმე ხულიგნურ ქმედებას არ ჩადის, ვინმე შეურაცხყოფას აყენებს? საზოგადოებაში ვერ ჩნდება ან ტელევიზიით არ აჩვენებენ?

– ერთ-ერთ ტელეკომპანიაში გამოდიოდა გოგონა, რომელმაც განაცხადა, რომ თავისივე სქესის წარმომადგენელზე უნდოდა დაქორწინება. არის განცხადებები, რომ არის საშინაოროება, ჯერ დაქორწინება დააკანონონ, მერე – შვილად აყვანა.

– საშინაოროება არ არსებობს. ეს პრობლემა ხელოვნურად იქმნება. რაღაც სექტამ წამოიკიდა ეროვნული ძალები.

– რატომ უნდათ უმცირესობის წარმომადგენლებს, რეკლამირებულნი იყვნენ?

– ფინანსების გამო. ფინანსები წყვეტს ყველაფერს. სადღაც რომელიღაც მილიარდერი ბრიუსელში, ვაშინგტონსა თუ მოსკოვში (რომელიც თვითონაც უმცირესობის წარმომადგენელია) ფულს ურიცხავს უმცირესობის წარმომადგენლებს მთელ მსოფლიოში. მათ მთელ მსოფლიოზე გაბატონება უნდათ და ფინანსებს არ ზოგავენ.

საქართველოში ტერაქტებს უნდა ველოდოთ?

დასაწყისი მე-5 გვერდზე

მნიშვნელოვანი დაძაბულობის პირველი ნიშნები უკვე გამოჩნდა. დაძაბულობას ვამბობ, თორემ რუსეთის ხელისუფლების ბრალდება ყირმის ნახევარკუნძულზე უკრაინის სამხედრო დაზვერვის ჯგუფების მიერ დივერსიული ქმედებების განხორციელების შესახებ ომის წინა მდგომარეობას წააგავს.რუსული, ისევე, როგორც უკრაინული შეიარაღებული ძალები სრულ მზადყოფნაშია მოყვანილი. კავკასიის მიმართულებითაც მიმდინარეობს ჯარების მობილიზაცია და წვრთნა. იმ შემთხვევაში, თუ სასწრაფოდ არ დაიწყება სიტუაციის განმუხტვა, რუსულ-თურქულ ერთობას შავი ზღვის აუზში შექმნილი დე ფაქტო სიტუაციის დე იურე განმტკიცების საშუალება ეძლევა.

ჯერჯერობით სიტუაციის განმუხტვის მცდელობა არ ჩანს.

დასავლეთევროპული დიპლომატია დუმს.

ამერიკა სიტუაციის უფრო მეტად დაძაბვისკენ დგამს ნაბიჯებს. გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ აშშ რუსეთის წინააღმდეგ ახალ სანქციებს ამზადებს. საქმე ეხება ამერიკულ ბრალდებას, თითქოს რუსმა ჰაკერებმა გატეხეს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის იმეილების სერვერი და საიდუმლო ინფორმაცია გადასცეს ვიკილიქსის დამფუძნებელ ჯულიან ასანჟს. ინფორმაცია ადასტურებს კლინტონის კავშირებს ისლამურ სახელმწიფოსთან.

თუ გავითვალისწინებთ მსოფლიო გეოპოლიტიკურ რუკაზე დადებულ ფსონებს, ადვილი მისახვედრია, რომ სიტუაცია უფრო მეტად დაძაბვისკენ მიდის. ტერორიზმის მომძლავრებულ საფრთხეს ევროპა პრაქტიკულად გამოჰყავს თამაშიდან. მიუხედავად ევროპელი ლიდერების განცხადებებისა ლიბერალური დემოკრატიისა და მულტიკულტურალიზმის ფასეულობების ერთგულების შესახებ, თავდაცვის ინსტინქტიდან გამომდინარე, რეალურად მიდგომები იცვლება. ბრიტანეთის რეფერენდუმი და ევროპის ქვეყნებში ტერორიზმთან ბრძოლის კანონმდებლობაში ცვლილება ამას ადასტურებს. ევროპა, ისევე, როგორც ბრიტანეთი და ამერიკის კონსერვატორული ნაწილი, კარჩაკეტილობის გზას ადგება.

უკრაინა-რუსეთის კონფლიქტის ახალ, მეტად დაძაბულ ფაზაში შესვლა რეალურს ხდის ამ ქვეყნის ოკუპაციის საფრთხეს. ამერიკისა და ევროპის მიერ რუსეთის საერთაშორისო თანამეგობრობიდან გარიყვის პოლიტიკამ უკუშედეგი გამოიღო.

აუცილებლად გასათვალისწინებელია ჯიჰადისტების ფაქტორიც, რომლებსაც თურქეთ-რუსეთისა და ირანის დაახლოებით სერიოზული პრობლემა შეექმნათ სირიისა და ერაყის, ასევე ლიბიის ტერიტორიაზე. ეს ძალები აუცილებლად დაიწყებენ დისლოკაციის ადგილის შეცვლას.

თუ თეორიულად დავუშვებთ ჰილარი კლინტონის ადმინისტრაციისა და ჯიჰადისტების კავშირებს, რომელსაც რესპუბლიკელი დონალდ ტრაპი და ჯულიან ასანჟის მიერ დაარსებული ვიკილიქსი ავრცელებს, შესაძლებელია, ჯიჰადისტური მოძრაობა ერდოღანისა და რუსეთის პოზიციების დაახლოების საწინააღმდეგოდ იყოს გამოყენებული. ასეთ შემთხვევაში საქართველო სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდება, ერთი მხრივ, რუსეთი შეეცდება საკუთარი ინტერესების დაცვას კავკასიის რეგიონში და, მეორე მხრივ – ერდოღანის თურქეთი.

ჯიჰადისტების რუსეთის წინააღმდეგ გამოყენება კარგად აპრობირებული მეთოდია, მაგრამ ისინი ჩრდილოკავკასიაში რამენაირად უნდა მოხვდნენ.

ჯერ კიდევ 1997 წელს ალ-ქაედას ლიდერმა უსამ ბენ ლადენმა რამდენიმე მილიარდი დოლარი გამოყო საქართველო-ჩეჩნეთის დამაკავშირებელი გზის ასაგებად. გროზნო-ითუმხალე-თბილისის გზის მშენებლობა ალ-ქაედას ლიდერისათვის იმდენად მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული გახლდათ, რომ ის 1998 წელს, ჩეჩნეთში მეორე ომის დაწყების წინ, თავად ეწვია ჩეჩნეთს და საჰაერო თავდაცვის პორტატიული სისტემა „სტინგერების“ მოჯაჰედებისათვის საჩუქრად გადაცემასთან ერთად გზის მშენებლობის პროცესიც მოიკითხა.

რუსეთის საზღვრებთან არეულობა ნამდვილად შედის მავანის ინტერესში. ისლამელი მოჯაჰედების არსებობა უკრაინაშიც დადასტურებულია. ამას თავად ჯიჰადისტებიც ადასტურებენ, მაგალითად, ჯოჰარ დუდაევის სახელობის სამშვიდობო ბატალიონი, რომლის წევრების დიდი ნაწილი ჩეჩნეთის პირველსა და მეორე ომში მონაწილეობდა. მრავალი მოჯაჰედი, რომლებმაც სირიასა და ერაყში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მიიღეს მონაწილეობა, თურქეთიდან უკრაინაში აღმოჩნდნენ და უკრაინულ ანტიტერორისტულ ოპერაციაში მონაწილეობენ.

მოჯაჰედების მონაწილეობა უკრაინულ კონფლიქტში გამოწვეული რუსეთის ყურადღების გადატანით, რათა რუსეთმა შეამციროს სირიაში საბრძოლო მოქმედებების ინტენსივობა.

ასეთი სახის საფრთხეს, რა თქმა უნდა, რუსეთისა და თურქეთის ხელისუფლებებიც ხედავენ. საქართველოსა და უკრაინის მიმართულებით გაზრდილი საბრძოლო დანაყოფების რაოდენობა ამას ადასტურებს. იმ შემთხვევაში კი, თუ დასავლეთიდან ან სამხრეთიდან ქვეყნის ინტერესებს საფრთხე დაემუქრება, შესაძლოა, ახალი სამხედრო კონფლიქტის დაიწყოს.

თუ რამდენიმე ხნის წინ დასავლეთს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში თურქეთის სახით მოკავშირე ჰყავდა, დღეს ასე აღარაა. ეს კი რუსეთსაც და თურქეთსაც საშუალებას აძლევს, უფრო აგრესიული მოქმედები განახორციელოს ყველა მიმართულებით. უკრაინა და საქართველო, პრაქტიკულად, მარტოა დარჩენილი ორი საკმაოდ აგრესიული მეზობლის წინაშე.

საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც წინასაარჩევნო მარათონშია ჩაბმული, რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება აქვს მისაღები ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში. ჩვენთვის ახლა მეტად მნიშვნელოვანია ტერორიზმთან ბრძოლის სამსახურის რეფორმა და ისლამური სახელმწიფოსაგან მეზობელი ქვეყნებისაკენ მიმართული საფრთხეების აღკვეთა. ამისათვის ამ ქვეყნების სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაა საჭირო. გასათვალისწინებელი პარტნიორების სწორად არჩევაც, რათა ქვეყანა უგუნური პოლიტიკის გამო რუსულ-თურქული ოკუპაციის მსხვერპლი არ გახდეს. რუსულ-უკრაინული ურთიერთობების ესკალაცია კი ამის საფუძველსა და საფრთხეს აჩენს.

რა იწვევს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლას

კრეტინიზმი ფარისებრი ჯირკვლის დაავადებაა. ამ დროს დაქვეითებულია ფარისებრი ჯირკვლის ფუნქცია, რასაც ჰიპოთირეოზი ეწოდება.

ჰიპოთირეოზს საფუძვლად უდევს თირეოიდული ჰორმონის, ძირითადად თიროქსინის, ნაკლებობა. იმისდა მიხედვით, თუ განვითარების რომელ პერიოდში ჩნდება პათოლოგია, არჩევენ თანდაყოლილ და შეძენილ ჰიპოთირეოზს. პათოლოგიური პროცესის კლინიკური გამოვლინება შეიძლება იყოს მსუბუქი, საშუალო და მძიმე.

ბავშვთა ასაკში, მოზრდილისაგან განსხვავებით, უფრო ხშირად გვხვდება პირველადი ჰიპოთირეოზი. ამ დროს გამომწვევი ფაქტორი, უშუალოდ ფარისებულ ჯირკვალს აზიანებს. მეორადი ჰიპოთირეოზი გვხვდება უპირატესად სქესობრივ მომწიფებამდე და სქესობრივ მომწიფების პერიოდში. მას საფუძვლად უდევს ფარისებრი ჯირკვლის რეგულატორის, ჰიპოთალამაურ ჰიპოფიზური სისტემის პათოლოგია. როგორც აღვნიშნეთ, ჰიპოთირეოზი შეიძლება იყოს თანდაყოლილი ან შეძენილი.

თანდაყოლილი ჰიპოთირეოზი, ანუ კრეტინიზმი შეიძლება გამოწვეული იყოს: 1. ემბრიოგენეზის დარღვევით, როდესაც ფარისებრი ჯირკვალი არ არსებობს ან განვითარების დეფექტია.

2. იოდის დეფიციტით ან საერთოდ არ არსებობით, რომელიც განაპირობებს ენდემურ კრეტინიზმს. ამ დროს ვითარდება ფარისებული ჯირკვლის ატროფია, ან ჩიყვი.

3. თანდაყოლილი ჩიყვით, რომელიც ვითარდება მუცლად ყოფნის პერიოდში, ნაყოფზე უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

შეძენილი ჰიპოთირეოზის მიზეზებია:

1. ფარისებრი ჯირკვლის პირველადი ატროფია.

2. დიენცეფალურ – ჰიპოფიზური სისტემის უკმარისობა.

3. ფარისებრი ჯირკვლის დაავადების გამო ოპერაციული ჩარევა და ამ ჯირკვლის სპეციფიური ფუნქციების მეტ ნაკლები მოშლა.

თანდაყოლილი ჰიპოთირეოზის კლინიკური სურათი ვლინდება პირველსავე თვეებში. ყურადღებას იპყრობს ბავშვის თავისებური ჰაბიტუსი – შესახედაობა, პასტოზურობა. ამ დროს ადგილი აქვს კანისა და კანქვეშა ქსოვილების შეშუპებას. შეშუპების მიუხედავად კანზე თითის დაჭერით ჩაღრმავება არ რჩება, რადგან შეშუპება არის მუცინოზური ანუ ლორწოვანი ხასიათის. ამიტომაცაა, რომ ამ დაავადებას მიქსედემასაც (ლორწოვანას შეშუპებას) უწოდებენ.

დაავადება იწყება თანდათანობით, ავადმყოფებს აღენიშნებათ მოდუნება, მძინარობა, გონებრივი შრომის უუნარობა, მეხსიერების და მადის დაქვეითება, უხალისობა, წონაში მომატება, გამომეტყვლების შეცვლა (გაფერმკრთალება, სახის შებიჟვინება, თვალის ქუთუთოების შეშუპება), ხმის შეცვლა, ხმა უფრო დაბალი და ხრინწიანი ხდება. ავადმყოფს აღენიშნება მეტყველებისა და მოძრაობის ერთგვარი შებოჭილობა, ზოგჯერ ენის გადიდება, ტუჩების შემსხვილება, ნახევრად პირღიაობა, ხშირად გადმოვარდნილი ენა.

ავადმყოფის ობიექტური გამოკვლევის დროს აღინიშნება ფსიქიკური აგზნებულობისა და აქტივობის დაქვეითება – სახის ინდიფერენტული გამომეტყველება, მიმიკურ რეაქციის სიღარიბე, დუნე მოძრაობები, შეკითხვებზე პასუხის დაგვიანება. ხშირად აღინიშნება სმენის დაქვეითება, რაც შეეხება პერიფერიულ ნერვულ სისტემას – მყესთა რეფლექსები დაქვეითებულია. კანი მოყვითალო ელფერისაა. ზოგჯერ სახის კანის მოყვითალო ფერმკრთალ ფონზე აღინიშნება ყვრიმალების შეწითლება, რაც თვალის ქუთუთოების შეშუპებას, თვალების ნაპრალების დაპატარავებას, სახის ერთგვარ შებიჟვინებას და უსიციცხლო გამომეტყველებას აძლევს. კანი მშრალია, გასქელებული და უხეშია. ხელის მტევნები – ცივი. ხშირად აღინიშნება ჰიპოთერმია – დაბალი ტემპერატურა. კანის გასქელება გამოწვეულია მათში მუკოპროტეინების (ერთგვარი ცილის) დაგროვებით, რასაც კანქვეშა და კუნთოვან ქსოვილში აქვს ხოლმე ადგილი.აღინიშნება თმების შეთხელება, ფრჩხილების ადვილი მტვრევადობა და ნელი ზრდა. კუჭის მხრივ, ხშირად მჟავიანობა დაქვეითებულია, ავადმყოფს აქვს შეკრულობა და მეტეორიზმი.

ასეთ ავადმყოფებში ხშირია სხვადასხვა ხარისხის ანემია, მჟავიანობა დაქვეითებულია, ვითარდება გასტრიტი. დაავადების დროს, განსაკუთრებით ხანში შესულებში, გულის დაზიანება შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც უშუალოდ მიქსედემური ცვლილებებით, ასევე ჰიპოთირეოზისათვის დამახასიათებელი ათეროსკლეროზული პროცესების ჭარბი განვითარებით. ეს უკანასკნელი თავის მხრივ მიზეზია ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზის, სტენიკარდიისა და ინფარქტის ხშირი განვითარებისა.მამაკაცებს ხშირად აღენიშნებათ პოტენციისა და სპერმატოგენეზის დაქვეითება. ქალებს კი, მენსტრუალური ციკლის სხვადასხვა ხასიათის დარღვევა, სტერილობის და მენოპაუზის ნაადრევი განვითარება. მეორადი მიქსედემის დროს ხშირად გვხვდება მენსტრუალური ციკლის შეწყვეტა, ხოლო პირველადის დროს, შეიძლება იყოს გაძლიერებული მენსტრუალური სისხლდენა,

ნივთიერებათა ცვლა, სისხლში ცილოვანი იოდის შემცველობა დაქვეითებულია, ასევე დაქვეითებულია ფარისებრი ჯირკვლის მიერ რადიოიოდიდის შთანთქმაც.

თუ ავადმყოფი მკურნალობის გარეშე დავტოვებთ, გამოხატული ჰიპოთირეოზი პროგრესირებს, რის გამოც ავადმყოფთა სიცოცხლის ხანგრძლივობა საგრძნობლად მცირდება. თვით ჰიპოთირეოზის პროგრესულობა იწვევს მძიმე ფორმის მიქსედემის ჩამოყალიბებას, რაც თავისთავად შესაძლებელია დამთავრდეს მიქსედემური კომის განვითარებით და ავადმყოფის დაღუპვით. მიქსედემური კომის განვითარებას შეიძლება ხელი შეუწყოს სხვადასხვა სტრესულმა სიტუაციამ (სიცივე, ფსიქიკური ან ფიზიკური ტრამვა, ინფექცია და სხვა). ამ დროს ვითარდება ძლიერი ჰიპოთერმია – ტემპერეტურის დაქვეითება.

ჰიპოტონია – წნევის დაქვეითება, ბრადიკარდია – მაჯისცემის შენელება, ცნობიერების დაბინდვა სრულ დაკარგვამდე და სხვა. ხშირად საქმე არ მიდის მიქსედემურ კომამდე და ავადმყოფები, ჩვეულებრივ, იღუპებიან გულ სისხლძარღვთა ან რომელიმე სნეულებისაგან.

მკურნალობა ძირითადად შენაცვლებითი ხასიათისაა და გამოიხატება ფარისებრი ჯირკვლის ექსტრაქტის (თირეოიდინის) ან ჰორმონების (თიროქსინის ან ტრიიოდთირონინის) ხმარებით. თუ მკურნალობის დაწყება ძალზე დაგვიანებული არ არის, თირეოიდინის დანიშვნა ჰიპოთირეოზის ყველა მოვლენის უკუგანვითარებას იწვევს. იგულისხმება, რომ, ამ დროს ორგანიზმში არაა განვითარებული ისეთი შეუბრუნებელი ცვლილებები (პირველ რიგში ცენტრალური ნერვული სისტემისა), როგორიც გვხვდება კრეტინიზმის დროს.

თირეოიდინსა და განსაკუთრებით თიროქსინს ახასიათებს ნელი, ხანგრძლივი მოქმედება და მკურნალობის პროცესში მისი დოზების მომატების აჩქარება საჭირო არ არის.

მკურნალობა მცირე დოზებით უნდა იყოს დაწყებული, განსაკუთრებით ხანში შესულებში, ათეროსკლეროზული ცვლილებების და სტენოკარდიული მოვლენების არსებობისას. ამ დროს თიროქსინის ჭარბმა დოზებმა შესაძლებელია მძიმე სტენოკარდიული შეტევა და ინფარქტის განვითარება გამოიწვიოს. მიქსედემის მკურნალობის შედეგად პირველ როგში უმჯობესდება ფსიქიკური მდგომარეობა, საერთო გუნება განწყობა, შემდგომში ცვლილებები თანდათანობით ვლინდება გულის, კანის და სხვა სისტემების მხრივ. ყველა სიმპტომის სრულ უკუგანვითარებას ჩვეულებრივ 1-2 თვე სჭირდება.

ჰიპოთირეოზისა და მისი გართულებების მკურნალობა სიმპტომატურია. უნდა გვახსოვდეს, რომ მიქსედემით დაავადებულნი მორფიუმსა და სხვა სედატურ საშუალებებს ცუდად იტანენ. მათი მცირე დოზები საკმარისია, რათა გამოიწვიონ ღრმა ლეთარგია.

მიქსედემური კომის დროს საჭიროა სასწრაფო ღონისძიებების მიღება, რადგან დაგვიანებულ შემთხვევაში ავადმყოფთა უმრავლესობა იღუპება. მკურნალობა ძირითადად ტრიიოდთიროდინითა და კორტიკოსტეროიდებით წარმოებს.

სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

აცხადებს
ღია კონკურსს

შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

1. *ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორია*

მეცნიერ-თანამშრომელი- 1 (ერთი) სრული საშტატო განაკვეთი,
(*უპირატესობა მიენიჭება ახალგაზრდა მეცნიერებს);*

2. *ნახევარგამტარული და რადიაციული ტექნოლოგიების ლაბორატორია*

მეცნიერ- თანამშრომელი- 1 (ერთი) არასრული საშტატო განაკვეთი,
(*უპირატესობა მიენიჭება ახალგაზრდა მეცნიერებს);*

3. *არატრადიციული ენერგეტიკის ლაბორატორია*

მეცნიერ-თანამშრომელი- *1 (ერთი) სრული საშტატო განაკვეთი,*
(უპირატესობა მიენიჭება ახალგაზრდა მეცნიერებს);

მეცნიერ-თანამშრომლის კონკურსის პირობები

კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:
1. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, მაგისტრი, დოქტორანტი, დოქტორი.
2. განყოფილების მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს - Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ / ან მითითებულ ელ-ფოსტაზე (xlomidze@sipt.org.ge) უნდა გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (იხ. განცხადების ფორმა); **www.sipt.org.ge**
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
7. ინფორმაცია სახელშეკრულებო (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
8. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
10. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

- საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს **სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში,** მისამართზე ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. 7, ოთახი 629 ან ელექტრონულად ელ-ფოსტაზე: xlomidze@sipt.org.ge 2016 წლის ***15 აგვისტოს 10 საათიდან 14 სექტემბრის 18 საათამდე*** (შაბათ-კვირის გარდა).
- კონკურსი გაიმართება 2016 წლის 16 სექტემბერს

დამატებითი ინფორმაცია ლაბორატორიების მეცნიერ-თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტურქციასთან დაკავშირებით იხილეთ **www.sipt.org.ge**
დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი
ხათუნა ლომიძე
ტელეფონი 599959913

მკურნალი მუნემა

კრაზანა – მრავალწლოვანი ბალახია, ყვავილობს ყვითელი, შეკრული ყვავილებით. ძირითადად ტყის მდელოებზე იზრდება. ყვავილობს ზაფხულში და მაშინ უნდა მოხდეს მისი შეგროვება. გახეებული ღეროები არ გამოგადგებათ. გააშრეთ ჰაერზე.

კრაზანა შეიცავს კაროტინს, ცე ვიტამინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთეროვან ზეთებს, ფლავონოიდებს. გამოიყენება დასალევად, როგორც შემკვრელი, ანტისეპტიკური საშუალება კოლიტების სამკურნალოდ, აგრეთვე პირში გამოსავლებად და პირის ღრუს ლორწოვანის ანთების დროს.

1 კოვზ კრაზანას დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ 3-4 საათი, უნდა მიიღოთ სუფრის კოვზით. დღეში 4-5 სუფრის კოვზი, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

აფთიაქებში შეიძლება შეიძინოთ კრაზანას სპირტზე დამზადებული ნაყენი.

გაეროს უშიშროების საბჭომ მხარი უკრაინას დაუჭირა

უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მოთხოვნით გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვიეს. მას რუსეთ-უკრაინას შორის მკვეთრად გამწვავებული ურთიერთობები უნდა განეხილა. ყირიმში კი ახალი ექსცესი მოხდა. რუსეთ-უკრაინის საზღვრის ყირიმის მონაკვეთზე ატყდა სროლა. რუსულმა მხარემ ამაში უმალ უკრაინელები დაადანაშაულა, აქაოდა, ჩვენს ჯარისკაცებს ცეცხლი გაუხსნესო. სიმართლე მალე გაირკვა. თურმე მთვრალ რუს ჯარისკაცებსა და რუს მესაზღვრეებს შორის მოხდა ჩხუბი, რაც შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზარდა.

– ჩვენ ამ ინციდენტთან არავითარი კავშირი არა გვაქვს, – განაცხადა უკრაინის გენშტაბის უფროსმა, გენერალმა მუჟენკომ.

რუსეთის ბრალდებებმა უკრაინის მიმართ დასავლეთზე არავითარი ზემოქმედება არ იქონია. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება თავშეკავებული, მაგრამ მკვეთრად უარყოფითი იყო. მასში ნათქვამია, რომ ყირიმი რუსეთს უკანონოდ აქვს ოკუპირებული. პროვოკაცია, რომელიც რუსეთმა მოაწყო, მიზნად ისახავს ყირიმის დეოკუპაციიდან ყურადღების სხვა მიმართულებით გადატანას. აშშ-ის ელჩმა უკრაინაში პაიეტმა განაცხადა:

– რუსეთის მიერ უკრაინის მიმართ გამოთქმული ბრალდებები არადამაჯერებელია!

თავშეკავებული, მაგრამ მაინც უარყოფითი იყო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ შტაინმაიერის რეაქციაც. მან თქვა:

– რუსეთის ბრალდებები უკრაინის მიმართ უსაფუძვლოა! მოვუწოდებთ ორივე მხარეს, მოლაპარაკების მაგიდას დაუბრუნდნენ და ესკალაცია არ დაუშვან, – თქვა შტაინმაიერმა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმაც რუსეთის ბრალდებებს აბსოლუტურად უსაფუძვლო უწოდა, თუმცა შეშფოთება გამოთქვა მოსალოდნელი ესკალაციის გამო.

– რუსეთის ბრალდებები რომ უსაფუძვლოა, ეს ფაქტია. ახლა მთავარია, ესკალაცია არ დავუშვათ. რუსები და უკრაინელები მოლაპარაკების მაგიდას უნდა მიუსხდნენ, – თქვა სტოლტენბერგმა.

კრემლში ასეთი რეაქციით აშკარად გაწბილებულნი იყვნენ. რუსეთმა თავისი ბრალდებების „დამამტკიცებელი საბუთები“ წარმოადგინა. რუსული ტელეარხებით უკრაინელი დივერსანტის ვინმე პანოვის „აღიარებითი ჩვენება“ გადაიცა. პანოვი ამბობდა, პროფესიონალი სამხედრო მზვერავი ვარ, ყირიმშიც უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დავალებით დივერსიებს ვამზადებდიო.

– ამან უკრაინაში აღშფოთება გამოიწვია, – იტყობინება 112-ე არხი.

ევგენი პანოვი ზაპოროჟიეს ოლქის მცხოვრებია, აქტიურად მონაწილეობდა ევრორევოლუციაში, იბრძოდა დონბასში, იყო „ვოლონტიორი“ (ასე უწოდებენ მათ, ვინც დონბასში უკრაინელ მეომრებს ამარაგებს). პანოვი ოპოზიციური უკრაინელ პატრიოტთა კავშირის წევრი გახლდათ. ის არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ამყარმინდელ ხელმძღვანელობასაც მწვავედ აკრიტიკებდა. შესაბამისად, ამ სტრუქტურასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. და ასეთ კაცს დააბრალეს, რომ უკრაინის სამხედრო დაზვერვის აგენტია?! ეს ხომ სასაცილოა! – იტყობინება 112-ე არხი.

აღსანიშნავია, რომ პანოვი მაღალი, მსუქანი მამაკაცია. მისი სიმაღლე მეტრი და 90 სანტიმეტრია, წონა – 100 კილოგრამი. შესაბამისად, დივერსანტისათვის არსებულ სტანდარტებში ვერანაირად ვერ ჯდება.

– დივერსანტი დაბალი, მოქნილი ადამიანია, რომელსაც შეუძლია, უხმაუროდ იმოძრაოს. ამიხსენით, როგორ შეეძლო ისეთ სპილოს, როგორიც პანოვია, შეუმჩნევლად ემოძრავა? – აცხადებს უკრაინის სამხედრო დაზვერვის წარმომადგენელი, გენერალი სიბენეკი.

ყირიმის ინციდენტამდე ორი დღით ადრე პანოვი მეგობრებთან ერთად საქეიფოდ წავიდა და არ დაბრუნებულა. მისი ძმა მას ამაოდ დაეძებდა და ანაზდად რუსეთის ტელევიზიით იხილა. სავარაუდოდ, პანოვს, როგორც ზაპოროჟიელ პატრიოტ-აქტივისტს, რუსეთის უშიშროება უთვალთვალებდა. ის მოიტაცეს, გადაიყვანეს ყირიმში. ამის შემდეგ ძალით ამოგლიჯეს აღიარება, რომ დივერსანტია, შემდეგ კი ეს ვიდეოფირი ტელევიზიით გაავრცელეს.

ყირიმში ე.წ. დივერსანტების დაკავებამ რუსეთ-უკრაინის ურთიერთობები მკვეთრად გაამწვავა. ორი ქვეყანა ფარომასშტაბიანი ომის ზღვარზე რეალურად აღმოჩნდა. უკრაინის ხელისუფლების მოთხოვნით სასწრაფოდ იქნა მოწვეული გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა.

– უკრაინის წარმომადგენელმა გაეროში ელჩენკომ უდიდესი სამუშაო ჩაატარა. მან უშიშროების საბჭოში შემავალი ქვეყნების წარმომადგენლებს სრული და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა, – იტყობინება 112-ე არხი.

უშიშროების საბჭოს სხდომა დახურულ რეჟიმში ჩატარდა. თანახმად „ამერიკის ხმის“ ინფორმაციისა, უშიშროების საბჭოში შემავალმა ყველა ქვეყანამ მხარი უკრაინას დაუჭირა. რუსეთის წარმომადგენელმა ჩურკინმა ცადა, ელჩენკოს არგუმენტები გაებათილებინა, მაგრამ ამაოდ. რუსეთი აბსოლუტურ იზოლაციაში აღმოჩნდა. მოსკოვის მცდელობა, უკრაინა ტერორისტულ სახელმწიფოდ წარმოეჩინა და საერთაშორისო იზოლაციაში მოექცია, ჩაიშალა, თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ამით რუსული წნეხი შემცირდება. რუსი სამხედრო ექსპერტი ალექსანდრე გოლცი მიიჩნევს, რომ მარცხი პუტინს კიდევ უფრო გაამწარებს. გოლცის აზრით, რუსები ორი მიმართულებით იმოქმედებენ: 1) დონბასში ვითარების გამწვავება და ამაში უკრაინის დადანაშაულება; 2) მოხალისეებსა და პოროშენკოს შორის შეიარაღებული შეტაკებების ინსპირირება.

– სავარაუდოდ, დონეცკს თავად რუსები დაბომბავენ, რასაც მსხვერპლი, მათ შორის მოხუცების, ქალების, ბავშვების სიკვდილი მოჰყვება. პუტინი ამას უკრაინელებს გადააბრალებს. მეორე – უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე დესტაბილიზაციის ორგანიზება. საამისოდ იდეალურია მოხალისეთა ბატალიონებსა და პოროშენკოს შორის შეიარაღებული დაპირისპირების ინსპირირება, – აცხადებს გოლცი.

უკრაინული არმია სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია. მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე გადაიყვანეს უშიშროება, მესაზღვრეები. პარალელურად უკრაინა აქტიურად მუშაობს ეუთოსთან, გაეროსთან, სხვა საერთაშორისო სტრუქტურებთან. ჰიბრიდული ომი რუსეთ-უკრაინას შორის გრძელდება.

განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასაღევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის განმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

აშშ-მ შესაძლოა რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციები დააწესოს

შესაძლოა აშშ-მ რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციები შემოიღოს. ამის შესახებ რადიო „თავისუფლება“ იტყობინება. მიზეზი აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ელფოსტის გატეხა და ჰილარი კლინტონის კერძო მიმოწერის გასაჯაროებაა.

– რუსეთის სახელმწიფო ჰაკერებს მფარველობს, ეს კი დასჯადი ქმედებაა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

აფეთქება ვაშინგტონის გარეუბანში

ვაშინგტონის გარეუბნის ერთ-ერთ სახლში აფეთქება მოხდა. შედეგად გაჩნდა ხანძარი. თანახმად ამ მომენტისათვის არსებული ინფორმაციისა, დაშავებულია ათზე მეტი ადამიანი, შვიდი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. სავარაუდოდ, ისინი ნანგრევებში მოყვნენ.

– მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება, – იტყობინება „ამერიკის ხმა“.

გერმანიაში ანტიტერორისტული ღონისძიებები ძლიერდება

ტერორიზმის საფრთხე, რომელიც გერმანიას დაემუქრა, აიძულებს ამ ქვეყნის ხელისუფლებას, ანტიტერორისტული ღონისძიებები გააძლიეროს. კანცლერმა მერკელმა განაცხადა, რომ დაგეგმილია კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის (კონტრდაზვერვა) შტატის გაზრდა. გაიზრდება პოლიციელთა რაოდენობა-აღჭურვაც, უფრო ინტენსიურად განხორციელდება ანტიტერორისტული ოპერაციები.

პირველი შედეგები ტერორიზმთან ბრძოლაში უკვე არის. ქალაქ დისლაკენში დაკავებულია ჯგუფი, რომელიც ტერაქტებს ამზადებდა. ყველა მათგანი ექსტრემისტული ორგანიზაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ წევრია. ამოღებულია დიდძალი ოდენობით იარაღი, ასაფეთქებელი მასალა, ექსტრემისტული ლიტერატურა.

ჯო ბაიდენი: „რუსეთის მიმართ პოლიტიკა უნდა შეიცვალოს“



აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ რუსეთის მიმართ პოლიტიკა უნდა შეიცვალოს და ამის განხორციელება აშშ-ის ახალ პრეზიდენტს მოუწევს. ბაიდენის აზრით, აშშ-მ უნდა მიაღწიოს იმას, რომ რუსებმა დატოვონ როგორც დონბასი, ასევე ყირიმიც, ხოლო უკრაინა ნატოსა და ევროკავშირს მაქსიმალურად დაუახლოვდეს. პარალელურად უნდა გატარდეს ზომები ნატოს გასაძლიერებლად, აგრეთვე აშშს-ის პოზიციების განსამტკიცებლად სირიასა თუ სხვა რეგიონებში.

ამავე დროს, ბაიდენი აცხადებს, რომ რუსეთთან ურთიერთობისას აუცილებელია გარკვეული ზღვარის დაცვა. პოლიტიკა უნდა იყოს აწონილ-დაწონილი და დაბალანსებული.

– იმედი მაქვს, რომ ასეც მოხდება, – აცხადებს ბაიდენი.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ნატოს უფლება არ აქვს, რაიმე აგვიკრძალოს!

თურქეთის ელჩმა რუსეთში იარიმმა განაცხადა, რომ თურქეთი ნატოში დარჩება, მაგრამ ეს ხელს არ შეუშლის მის ურთიერთობებს რუსეთთან. ეს დასავლეთში ბევრს არ მოსწონს.

– ნატოს უფლება არა აქვს, რაიმე აგვიკრძალოს! – თქვა იარიმმა.

რიო დე ჟანეიროში ტერორისტული ჯგუფი აიყვანეს

ბრაზილიის კონტრდაზვერვამ რიო დე ჟანეიროში ტერორისტული ჯგუფი (5 კაცი) აიყვანა. დადგინდა, რომ ისინი ოლიმპიური თამაშების დროს აფეთქებებს ამზადებდნენ.

– ყველა მათგანი ბრაზილიის მოქალაქე და ექსტრემისტული ორგანიზაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ წევრია, – იტყობინება რტრ.

დაკითხვის შემდეგ ჯგუფის ორი წევრი გაათავისუფლეს, სხვები წინასწარ პატიმრობაში მოათავსეს.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, ნონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

საქართველოს ჩემპიონატი ხურდება

დღეს და ხვალ საქართველოს 28-ე ჩემპიონატის მე-2 ტურის მატჩებია. ჯერ თეთრი ჯგუფის შეხვედრები გაიმართება, შემდეგ ერთმანეთს წითელ ჯგუფში მოხვედრილი გუნდები გაეჯიბრებიან.

თეთრი ჯგუფი

დინამო (თბ)-გურია
თბილისი. დინამო არენა

პირველ ტურში ორივე გუნდმა უგოლო ფრე ითამაშა. თუ გურულთათვის ქულაც მისაღები იყო, იმავეს ვერ ვიტყვით დინამოზე, რადგან ქართული ფეხბურთის ფლაგმანი სხვებზე მაღლა დგას.

დინამოელებს გურულებთან 2 შემტევი აღარ ეყოლებათ – გიორგი ქვილითაიამ და ნიკოლოზ გელაშვილმა გუნდი დატოვეს.

დინამოელებს ეროვნულ ასპარეზზე ლანჩხუთელთა წინააღმდეგ 29 მატჩი აქვთ გამართული. ურთიერთშეხვედრებში დინამოელები დიდ უპირატესობას ფლობენ: 22 მოგება, 4 ფრე და 3 მარცხი. ბურთების შეფარდება 83-21.

უკანასკნელი მატჩი დინამოსა და გურიას შორის 2016 წლის 9 მაისს დინამო არენაზე გაიმართა. აღნიშნული შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით 3:2 დასრულდა. ჰეთ თრიქი გურულთა კარში გიორგი ქვილითაიამ შეასრულა.

ლოკომოტივი-ტორპედო
თბილისი. მიხეილ მესხი

ლოკომოტივი პირველ ტურში ისვენებდა, ტორპედომ კი შინ ვერ მოუგო ქობულეთის შუქურას (0:0).

მასპინძლები გაძლიერებული შემადგენლობით დაუხვდებიან რიონისპირელებს – ლუკა ზარანდია ბეკლიური გენკიდან მშობლიურ კლუბში დაბრუნდა. პლუს რკინიგზელთა გუნდში ითამაშებს 2 ყოფილი ტორპედოელი – ირაკლი კლიმიაშვილი და გიორგი კუხიანიძე. ორივე მათგანი გასულ სეზონში ტორპედოს ლიდერები იყვნენ, კუხიანიძე კაპიტანიც კი გახლდათ.

ეს მეტოქეთა 29-ე დაპირისპირება იქნება უმაღლეს ლიგაში. აქამდე ჩატარებულ შეხვედრებში სათამაშო ბალანსი ტორპედოს სასარგებლოდაა. ქუთაისელებმა 14 მატჩი მოიგეს, 7 ფრედ დაასრულეს და 7 წააგეს, ბურთების შეფარდება – 35:22.

გასულ სეზონში რიონისპირელებმა ორივე მატჩი მოუგეს მეტოქეს: შინ 2:0, ხოლო სტუმრად – 2:1.

შუქურა-ჩიხურა
ქობულეთი. ჩელე არენა

საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს. ორივე გუნდს თითო ქულა აქვს, როგორც ყველა სხვა დანარჩენს (ლოკომოტივის გარდა, რომელიც ისვენებდა) და ახლა ერთმანეთში შეეცდებიან პირველი გამარჯვება იგემონ.

ფავორიტად ჩიხურას მივიჩნევთ, რადგან გუნდი უფრო გამოცდილია და სეზონისთვის მზადებაც ევროტურნირებით დაიწყო.

წითელი ჯგუფი

სამტრედია-სიონი
სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

იმერლებმა წინა ტურში ქულა წამოიღეს აჭარიდან, მაგრამ ეს აქტივში ვერ ჩაეთვლებათ, რადგან იგებდნენ. თუმცა, უშუალო კონკურენტთან ბრძოლაში სტუმრად არწაგებაც კარგი შედეგია.

ბოლნისელებმა კი საშინაო მატჩი წააგეს საბურთალოსთან და ახლა იმერეთში შეეცდებიან მარაგის შევსებას. რამდენად მოახერხებენ, ამას კვირას გავიგებთ.

კოლხეთი-დინამო(ბთ)
ფოთი. პარკი არენა

ზღვისპირული დერბიც საინტერესო უნდა გამოდგეს. კოლხებმაც სტუმრად მოიგეს ზუგდიდში და ახლა შინ ამბიციურ დინამოს, რომელსაც თავის მხრივ სჭირდება მარაგის შევსება.

დილა-ზუგდიდი
გორი. თენგიზ ბურჯანაძე

დილა პირველ ტურში ისვენებდა და ამ დროისთვის კარგი შევსებაც მიიღო – ქართლურ გუნდს რუსეთიდან დაუბრუნდნენ ზურაბ არზიანი და გიორგი პაპავა. ორივე ფეხბურთელს უცხოეთში თამაშის გამოცდილება აქვს და საქართველოს ნაკრებშიც უთამაშიათ.

ვნახოთ რამდენად წაადგება დილას ეს შევსება, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ მეტოქეც არცთუ ძლიერია – ზუგდიდელებს პირველი მატჩის შემხედვარე ელიტაში ადგილის შენარჩუნება გაუჭირდებათ.

ფიჯის პირველი მედალი და ფელპსის რეკორდცვენა

31-ე ოლიმპიურ თამაშებზე პირველი მედალი მოიგო ფიჯიმ. შვიდკაცა რაგბის გამარჯვებული ფიჯის ნაკრები გახდა. მოგეხსენებათ, ოლიმპიადაზე რაგბის დებიუტი შედგა, ფიჯელებმა კი ახალი ისტორია შექმნეს, პირველი შეჯიბრების გამარჯვებულები გახდნენ. მათ ფინალურ შეხვედრაში დიდი ბრიტანეთის ნაკრებს სოლიდური სხვაობით 43:7 მოუგეს.

როგორც გითხარით, ეს ფიჯელთა პირველი მედალია და პირველივე ოქრო. რომ არა რაგბი, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს მოუწევდა ლოდინი...

მაიკლ ფელფსმა რიოში მე-4 ოქროს მედალი მოიპოვა. ამერიკელი საუკეთესო იყო კომბინირებულ 200 მეტრზე ცურვაში. მან დისტანცია 1.54.66 წუთში დაფარა.

ეს არის ფელფსის 22-ე ოქროს მედალი ოლიმპიადებზე, სულ კი კარიერაში უკვე 26 მედალი აქვს (პლუს 2 ვერცხლი და 2 ბრინჯაო). მის მიერ ნაჩვენები შედეგებიდან კარგად ჩანს, რომ გაჩერებას არ აპირებს, წესით, მის უდიდეს კოლექციას მედლები კიდევ შეემატება, რადგან ლეგენდა 31-ე ოლიმპიურ თამაშებზე კიდევ 2 დისციპლინაში აპირებს გამოსვლას.

წლევანდელ თამაშებზე 205 ქვეყანა გამოდის. დაითვალეს და ფელპსი ცალკე ქვეყანა რომ იყოს და საკუთარი დროშით გამოდიოდეს, ის ოლიმპიური მედლების ყველა დროის სიაში 35-ე ადგილზე იქნებოდა ანუ 170 ქვეყანაზე მაღლა.

ფელპსი სულ 5 ოლიმპიადაზე გამოდიოდა. 2000 წელს, სიდნეიში ის 15 წლის იყო და მხოლოდ 200 მეტრზე ბატერფლაიში იასპარეზა, სადაც მე-5 ადგილი დაიკავა. ასე რომ, თავისი 25 მედალი მაიკლმა 4 ოლიმპიადაზე მოიპოვა. განსაკუთრებით შემოსავლიანი მისთვის 2008 წლის თამაშები იყო, რომელშიც 8 ოქრო აიღო და ამით ერთ ოლიმპიადაზე აღებული ოქროების რაოდენობით ყველა დროის რეკორდი დაამყარა.

ფელპსმა რიოში 2 რეკორდი დაამყარა: 31 წლის ასაკში ის გახდა ოლიმპიურ თამაშებზე, ცურვაში, ყველაზე ასაკოვანი გამარჯვებული ინდივიდუალურ გაცურვებში. გარდა ამისა, ის პირველი ოლიმპიელია, რომელმაც ზედიზედ 4 ოლიმპიადაზე მოიგო ერთზე მეტი ოქროს მედალი.

ბექა ღვინიაშვილი უმედლოდ დარჩა



საქართველოს დელეგაციას რიო დე ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებში ერთადერთი ქართველი სპორტსმენი ჩაერთო. მთელი ქართული დელეგაცია – სპორტსმენები, ჟურნალისტები და საქართველოს სპორტის სამინისტროსა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები „კარიოკა არენის“ დარბაზში შეიკრიბნენ 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ბექა ღვინიაშვილის საგულშემატკივროდ.

20 წლის ძიუდოისტმა, რომელიც 90 კილოგრამი წონითი კატეგორიიდან 100-ში მხოლოდ ოლიმპიურ თამაშებზე საჭიდაოდ გადავიდა და სალიცენზიო ნორმატივი ღამის ნახევარ სეზონში შეასრულა, საქმეში მეორე წრიდან ჩაერთო ბრიტანელ ბენჯამინ ფლეჩერთან დაჭიდებით. თავიდან შიდოთი ჩამორჩა, ცოტა ხანში მსაჯს მეტოქეც გააფრთხილებინა. მესამე წუთზე კი საფირმო მოგვერდით ვაზარი აიღო და გდებას შებოჭვაც მიაყოლა.

ბელგიის ნაკრების წევრ ტომა ნიკიფოროვსაც ზედმეტი ნერვიულობის გარეშე გასცდა – ორწუთ-ნახევარში სამი ეფექტური გდება შეუსრულა, აქედან ორი ვაზარი.

მეოთხედფინალში ღვინიაშვილი თავისზე ერთი თავით მაღალ ფრანგს – სირილ მარეს დაუპირისპირდა. პირველიდან ბოლო წამამდე აქტიურად უტევდა, მაგრამ ილეთი ერთადერთხელ წამოიწყო და ის ეპიზოდიც მეტოქის კონტრილეთით დასრულდა. მარე ვაზარით დაწინაურდა და უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა. ბექა კი რეპეშაჟის ნახევარფინალში გადაერთო.

ბრინჯაომდე ორი გამარჯვება რჩებოდა, მაგრამ ქართველმა ძიუდოისტმა მსოფლიოს ჩემპიონთან, იაპონელ რიუნოსუკე ჰაგასთან უილეთო შეხვედრაში, ერთადერთი გაფრთხილებით წააგო და სადებიუტო ოლიმპიურ თამაშებზე მე-7 ადგილი დაიკავა.

წინასწარ ეტაპებზე ნაჩვენები ღამაზი ჭიდაობის შემდეგ ნეიტრალური გულშემატკივრები ბექა ღვინიაშვილის მხარეს გადავიდნენ. იაპონელთან მარცხის შემდეგ ტრიბუნები მსაჯის გადაწყვეტილებას დიდხანს აპროტესტებდნენ.

მილიონიდან 100 მილიონამდე

დასაწყისი მე-12 გვერდზე

13.2 მილიონი გირვანქა გადაიხადა ბარსელონამ და 1996 წელს ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი დაიმატა.

15 მილიონი გირვანქა და რონალდოს ტრანსფერის რეკორდი იმავე წელს ალან შირერმა მოხსნა. კაცი, რომელიც ბლექბერნის გაჩემპიონების მთავარი ფაქტორი იყო, ნიუკასლმა გადაიბირა.

19.5 მილიონი გირვანქა და საფეხბურთო ისტორიაში რონალდო ერთადერთი ფეხბურთელია, რომელშიც 2-ჯერ გადაიხადეს რეკორდული თანხა. ბრაზილიელი სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე ძვირადღირებული ჯერ 1996 წელს გახდა, შემდეგ კი 1997 წელს, როდესაც ინტერმა გადაიბირა.

21.5 მილიონი გირვანქა და 1998 წელს მოკრძალებულმა ბეტისმა მთელი მსოფლიო გააკვირვა. მათ სან პაოლოს ახალგაზრდა ფეხბურთელ დენილსონში უზარმაზარი თანხა გადაიხადეს და მსოფლიო რეკორდიც დაამყარეს.

32.1 მილიონი გირვანქა: იმ დროისთვის კრისტიან ვიერიში გადახდილი ეს თანხა არანორმალურად მიიჩნეოდა, მაგრამ ინტერმა არ დაინანა და ფორვარდი ლაციოდან წამოიყვანა.

ვიერიში ნაშოვნი ფულით რეკორდი უკვე ლაციომ მოხსნა და 35.5 მილიონი გირვანქა 2000 წელს ერნან კრესპოს სანაცვლოდ გადაიხადა და ასეთი თანხის შეთავაზების ცდუნებას ვერც პარმამ გაუძლო.

ერნან კრესპოს რეკორდი იმავე წელს ლუიშ ფიგუმ მოხსნა. პორტუგალიელი ბარსელონიდან რეალში გადავიდა და მის სანაცვლოდ პერესმა 37 მილიონი გადაიხადა.

2001 წელს რეალმა მორიგი გრანდიოზული ტრანსფერი განახორციელა – იუვენტუსიდან ზინედინ ზიდანი დაიმატეს, რომლის სანაცვლოდაც 46.6 მილიონი გადაიხადეს. ფრანგი ფეხბურთელის ტრანსფერი ყველა დროის ყველაზე ძვირ ტრანსფერად 8 წლის განმავლობაში იყო.

2009 წელს რეალმა 2 სასწაული ტრანსფერი განახორციელა. მათ ჯერ რიკარდო კაკა დაიმატეს, რომლის სანაცვლოდაც 56 მილიონი გადაიხადეს, ხოლო შემდეგ, „სამეფო კლუბმა“ 80 მილიონად კრიშტიანუ რონალდუ დაიმატა, რომელიც საფეხბურთო ისტორიაში ყველაზე წარმატებულ, ყველაზე კარგ და საუკეთესო ტრანსფერად ითვლება.

ალბათ, რთული წარმოსადგენი იქნებოდა, რომ კრიშტიანუ რონალდუს დონის მოთამაშის სატრანსფერო ღირებულებას ვინმე გადააბიჯებდა... თუმცა ეს მოხდა, 2013 წელს რეალმა გარეტ ბეილი დაიმატა, რომლის სანაცვლოდაც 86 მილიონი გადაიხადა.

105 მილიონი და პოლ პოგბა პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც სამნიშნა ზღვარს უწია...

ახლა კი სტატისტიკა, სადაც აღნიშნულია, რომელი ქვეყნის რომელმა კლუბებმა გადაიხადეს სარეკორდო თანხები:

სერია ა-ს კლუბებმა 11-ჯერ: ნაპოლი (1975), ვიჩენცა (1976), ნაპოლი (1984), მილანი (1986), იუვენტუსი (1990), მილანი (1992), იუვენტუსი (1992), მილანი (1992), ინტერი (1997), ინტერი (1999), ლაციო (2000);

8-ჯერ ლა ლიგის კლუბებმა: ბარსელონა (1982), ბარსელონა (1996), ბეტისი (1998), რეალი (2000), რეალი (2001), რეალი (2009), რეალი (2009), რეალი (2013);

2-ჯერ პრემიერ ლიგის კლუბებმა: ნიუკასლი (1996), მანჩესტერი (2016).

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

